სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 21 ივლისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible]სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).
ტელეფონი 16—62.

№ 152 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 152

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ დათუთქული დედა ეფროსინე ოქროპირის ასული სალუქვაძისა და ღრმა მწუხარებაში მყოფნი მამა ნიკიფორე ვასილის ძე სალუქვაძე, ბიძანები სიმონ და ნოე სალუქვაძეები, ალექსანდრე, ნესტორ, ვანო და ისაკი ფანცულიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას თფილისის მიხაილოვის საავადმყოფოში, ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტის

**ვალერიან (ვალიკო) ნიკიფორეს ძე სალუქვაძის**

რომელსაც გაასვენებენ ქალაქ ფოთში საკუთარ სახლში. დაკრძალვა იქნება ამ თვის 25 ს დღითი ხუთშაბათს, პანაშვიდები ყოველდღე. (3—2)

მწუხარებით გულდათუთქულნი მშობლები: მინა (იგივე რომანოზ) გიორგის ძე და ანასტასია მათეს ასული, ძმები: ამბროსი და შალვა, და ევგენია, ბიძა ალექსანდრე გიორგის ძე არჩვაძენი, მამიდაშვილები: ვალერიან, ილიკო და კალისტინა გიორგობიანები—აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ივლისს ქ. ბორჯომში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**ბარბარე, (ვარია) რომანოზის ასული არჩვაძე**

ბორჯომიდან ჩამოსვენება მოხდება დღეს 20 ივლისს დილის 8 საათზე და სადგურიდან ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადასვენებული. დაკრძალვა მოხდება კვირას 21 ივლისს ახ. სტ. იმავე ეკლესიის სასაფლაოზე. (2—2)

დამწუხრებულნი ოლღა, მიხეილ და დარიკო ხერხეულიძენი, სოფიო და ილია დავითაშვილები და მარიამ კველიშვილისა აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ ხუთშაბათს, მკათათვის 25 (ახალი სტილით, ძველით მკათათვის 12-ს) სოფ. დგვრისში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**ზურაბ გრიგოლ და ივანე ხერხეულიძეების**

ამავე დღეს. საღამოს 6 საათზე, პანაშვიდი გადახდილ იქნება განსვენებულთა საფლავზე ქ. თფილისში.

გულდათუთქული მამა სპირიდონ ზე არიონის ძე ჯორჯიკია მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ თვისი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის

**ნიკოლოზ (კოლია) სპირიდონის ძე ჯორჯიკიას**

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს წაასვენებენ ბორჯომიდან ზუგდიდის მაზრის სოფ. ნოჯიხევში, სადაც მოხდება დასაფლავება კვირას, 21 ივლისს, საღამოთი. (1—1)

„პირველი ნაბიჯის" რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მეგობრებს თავის თანამშრომლის ამხ.

**პეტრე გრიგოლის ძე ავლოხაშვილის**

ტრაღიკულათ გარდაცვალებას, რომელიც მოკლულ იქმნა ქ. დუშეთში ბრბოს მიერ 19 ივნისს (ხ. სტ.). დაკრძალვა მოხდება კვირას 21 ივლისს, კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, მიცვალებულს გამოასვენებენ რკინის გზის საავათმყოფოდან დღის 1 ლ საათზე. (1—1)

## ნაციონალიზმი

მარქსიზმის ერთი მთავარი დებულებათაგანი არის—ერთი ერი ერთი სახელმწიფო. ასეთ პირობებში შინაგანი კლასობრივი ბრძოლა უფრო დაუფარავათ და აშკარათ სწარმოებს. მას ეროვნული, სარწმუნოებრივი და სხვა ასეთი ინტერესები ვერ ჩქმალავენ.

საქართველოს რესპუბლიკაც დღეს ასეთი ეროვნული სახელმწიფოს სახეს ღებს. და თუ ჩვენ აქამდე არ ვიყავით ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მომხრე, ეს არა იმიტომ, რომ ქართველი ხალხისთვის ეს პრინციპი გამოუსადეგრათ მიგვაჩნდა, ან მისი სახელმწიფოებრივი ძალა არ გვწამდა, არამედ იმ მიზეზით, რომ ჩვენი სიპატარავის გამო გარეშე მტრის ლუკმა არ გავმხდარიყავით, ისეთი მტრის, რომელიც ჩვენ არსებობას ნოავ წყალს გაატანდა.

მაშასადამე წუწუნი და დასძენითი კილო, რომლითაც დღემდე სწერენ ნაციონალ-დემოკრატები ჩვენზე—მხოლოდ მათი ბოროტი ფანტაზიის შედეგია. ჩვენ ოსმალეთის ველურობისაგან თავის დასაღწევათ ვეფარებოდით რუსეთს.

ვინ არ იცის, რომ ჩვენ მოსისხლე მტერი ვიყავით ნიკოლოზის მთავრობის. მაგრამ არც ერთხელ ამ მიზეზით არ გაგვილაშქრია რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც სრულიად ლოიალური დამოკიდებულება გვქონდა.

სწორეთ ეროვნული ინტერესი, შეთანხმებული დემოკრატიის ინტერესებთან, გვკარნახებდა ჩვენ ასეთ საქციელს. სწორეთ ქართველი ხალხის კულტურული განვითარების, ეკონომიური ზრდის, მასის კეთილდღეობის, მისი მერმისის ინტერესები თხოულობდენ ჩვენგან ამგვარათ მოქცევას.

და ეს ეროვნული ინტერესი, რომელიც სავსებით ეთანხმება ამ ჟამთაც დემოკრატიის სწორათ გაგებულ ინტერესებს, გვიკარნახებს დღეს დამოუკიდებლობის დაცვას და საკუთარ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

დღეს ამ დამოუკიდებლობას შევყავართ საერთაშორისო კულტურულ ერთა წრეში, გვაძლევს მათ მფარველობას და მით გვიხსნის გზას განვითარებისაკენ. მაგრამ ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა ბევრ მტერს და მოყვარესაც ისე აქვს გაგებული, თითქო ჩვენ ამიერიდან უნდა სხვა ერს და სხვა ენას ვებრძოლოთ, რომელიც კი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში გაჩნდება. დღევანდელი გავარვარებული ატმოსფერა, გარეშე ელემენტებისაგან ჩვენი რესპუბლიკისადმი მტრული განწყობილება, ხშირათ პირდაპირ ურიგო სიტყვებით მოხსენიება ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელების, გაბიაბრუება და შეურაცყოფა მთელი ჩვენი რევოლიუციური წინსვლის სამართლიან გულისწყრომას იწვევს ჩვენს ამხანაგებში. მაგრამ ამ გულისწყრომამ არ უნდა მიიღოს ნაციონალისტური ხასიათი. ჩვენი დემოკრატიის, მუშათა კლასის სიძლიერე, მისი მთავარი ძალა იმაში იყო დღემდი, რომ ის ყველაზე მარჯვეთ და თავდადებულათ იცავდა ერთა სოლიდარობას, აერთებდა თავის სოციალისტურ პრინციპებს გარშემო ყველა ერის დემოკრატიას.

დღეს განკერძოებული პოლიტიკური ცხოვრების წარმოშობის ხანაში, ეს პრინციპები მით უმეტეს უნდა გვედგას თვალწინ და სწორი გზით სიარულს გვიადვილებდენ.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ წრეებში თავი იჩინა ნაციონალისტურმა განგაშმა.

მოწინააღმდეგეების ნაციონალისტურმა სისინმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიწვია ასეთივე რეაქცია ჩვენი დემოკრატიული ელემენტების ზოგიერთი წრეების მხრივაც.

ჩვენ აქედანვე უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები რომ ეს გზა ნაციონალისტურათ დაპირდაპირებისა მეტათ მოლიპული გზაა, რომელზედაც ადვილათ შეიძლება შოვინიზმის უფსკრულში გადაჩეხვა.

ყველა ერის ნაციონალისტებს—ქართველ ზუბრებს, სომხის შოვინისტებს, რუსის შავ რაზმელებს არაფერი ისე არ ახარებს, როგორც ეს ტენდენცია ქართველ ერის დემოკრატიაში ნაციონალისტური მიდრეკილებების გამოღვიძებისა.

იგინი ამ ნაციონალისტურ ტენდენციებს ხელზე დაიხვევენ, რომ მით თავის ბნელი დამპყრობითი ინტერესები განახორციელონ.

ვანგრევთ საქართველოს, რადგან იგი ბუდე შეიქნა კაცთ მოძულეობისა,—იტყვიან ეს მართლა კაცთ მოძულენი,—ვებრძვი საქართველოს მთავრობას, რადგან იგი სდევნის სხვა ერებს, ჰორიკანობენ დღესაც გაზეთებში, კრებებზე, ქუჩაში.

ამ პროვოკაციის ანკესზე წამოგება, ეს იქნებოდა ჩვენი უსაშინელესი დამარცხება იდეური და ზნეობრივი მხრივ. ეს იქნებოდა ჩვენი ჩათრევა იმ წუმპეში, რომელშიაც ყველა ქვეყნის ნაციონალისტები დასცურავენ.

ეს იქნებოდა დასამარება დემოკრატიის იმ დიადი პრინციპების, რომელმაც დღევანდლამდე შეგვარჩინა რევოლიუციის მოპოვებანი, მოგვცა მორალური და ფიზიკური შეძლება თავის რევოლიუციური მოვალეობის პირნათლათ შესრულების.

ნაციონალისტურ სისინს ჩვენ დღესაც უნდა დავუპირდაპიროთ ჩვენი დემოკრატიული პრინციპები, ის ნაცადი გზა და ტაქტი, რომლითაც დღემდე ვიკაფავდით ნარ-ეკალს, და მივდიოდით წინ—თავისუფალ ცხოვრებისა და ერთა ძმობა ერთობისაკენ ჩვენი ერის სწორათ გაგებული ინტერესები დღესაც სავსებით ეთანხმება დემოკრატიის კლასობრივ ინტერესებს.

დაე დროებით სხვა ერის დემოკრატიულ წრეებშიაც იყოს შეტანილი შხამი ნაციონალიზმისა და მტრული განწყობილება იმ დემოკრატიულ რესპუბლიკისადმი, რომელიც მიუხედავათ ყოველგვარ ინტრიგისა, შიგნით და გარეთ, მაინც საუკეთესო ოაზისია მთელი რუსეთის და ამიერ-კავკასიის ანარქიით მოცულ უსაზღვრო სივრცეში.

ჩვენ გვწამს, რომ ეს წუთიერი გაუგებრობა დემოკრატიის მხრით ჩვენი პოზიციისა გაივლის.

ჩინოვნიკები და მოხელეები არ გასწორდებიან. ისინი წინათაც ხორცმეტი იყვენ ჩვენს სხეულზე, დღესაც დარჩებიან.

მაგრამ დემოკრატია, მუშათა კლასი, რა ენაზედაც უნდა ლაპარაკობდეს, რომელ სახელმწიფოს ქვეშევრდომათაც უნდა ითვლებოდეს, შეიგნებს მალე, რომ არა მტრობა სხვის ნაშენი სახლის, არამედ სოლიდარობა და ძმურათ ხელის გაწვდა ყველა ერის მოძმეთადმი შეადგენს მათ რეალურ კლასობრივ ინტერესებს.

მუშათა სოლიდარობა არ უნდა დაირღვეს. მუშათა კლასში არ უნდა მისცეთ ნიადაგი ნაციონალიზმის მომწამვლელ შხამს. და ამას უნდა შეეცადონ პირველ ყოვლისა ადგილობრივი მუშები, მათ უნდა უჩვენონ დანარჩენთ მაგალითი კლასობრივი შეგნების და მარქსისტული, სწორი გზით სიარულის.

მაშინ ეს უცხოთ მგრძნობნი თავის თავისა საქართველოს საზღვრებში, შეიგნებენ, რომ ქვეშევრდომობით და საზღვარ-მიჯნებით არ განიყოფება მუშათა ინტერესები. გადალახვენ ფსიქოლოგიურ უზერხულობას, რომელსაც სთესვენ მათში ნაციონალიზმის მატარებელი კლასები და ისევ მკვიდრ ოჯახათ შეგვიკავშირდებიან.

და რეალურ ფაქტათ იქცევა ლოზუნგი: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## ეკონომიური ბრძოლა ჩვენში

კარლ მარქსის მოძღვრებაზე აღზრდილი მუშათა კლასი დიდათ განსხვავდება ძველი დროის მუშათა მასისაგან: პირველს ახასიათებდა ანარქისტული გამოსვლები, თავისი მოთხოვნილებების შეუწონლობა ძალთა განწყობილებასთან, უსისტემო მოქმედებები და დამარცხების შემდეგ უზომო გულგატეხილობა.

მეორე, პირიქით, სისტემატიურათ მოქმედობს, ძალთა განწყობილებას ყურადღებით ეკიდება, ყოველი მისი ნაბიჯი მოფიქრებული და მიზანშეწონილია.

თანამედროვე მუშათა კლასს ორგვარი ორგანიზაციები აქვს: პოლიტიკური და ეკონომიური. განსაკუთრებით ფართოა უკანასკნელი—მუშათა პროფესიონალური კავშირები. აქ თავმოყრილია ყველა ეროვნების და მიმართულების მუშა; პროფესიონალური ორგანიზაცია აგროვებს ენერგიას და ქონებრივ სახსარს და საჭიროების დროს ბრძოლას აჩაღებს. ის ერიდება ტყუილ-უბრალო ძალების დაქსაქსვას და დახარჯვას, ის შვიდჯერ გაზომავს, სანამ ერთხელ გადადგამდეს ნაბიჯს. ასეთს ორგანიზაციას მტერიც ანგარიშს უწევს და მოყვარეც, ის ნამდვილი პროლეტარული ორგანიზაციაა.

რუსეთში, განსაკუთრებით ბალშევიკების გამარჯვების შემდეგ, სულ სხვანაირათ დატრიალდა საქმე. იქ მეტ ბარგათ ჩასთვალეს ადგილობრივ პირობებისათვის ანგარიშის გაწევა; რაკი პოლიტიკური ძალა-უფლება ხელთ იგდეს, იფიქრეს—ხიშტებით და დეკრეტებით შესაძლებელია ეკონომიურ ურთიერთობის შეცვლაო და ფართოთ გამოიყენეს ეს დეკრეტების უფლება: ქარა თითონ თავის ნებაზე დაინიშნეს, ქარხნებზე და ფაბრიკებზე კონტროლი დააწესეს ან სავსებით სულ მუშებს გადასცეს სამრეწველო დაწესებულებები. კაპიტალისტები „ალაგმეს".

მაგრამ, რადგან მუშებს არ აღმოაჩნდათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც კაპიტალისტის ადგილს დაიჭერდა, ამიტომ საწარმოვო აპარატი დაიშალა, ფაბრიკა-ქარხნები დაიხურა და მუშები უსაქმოთ დარჩენ.

რუსეთი დღეს დაღუპვის პირზეა მიმდგარი.

საუბედუროთ, რამდენიმეთ ჩვენშიაც იჩინა თავი ბალშევიკურმა ტაქტიკამ. ჩვენშიაც თითქოს ნელდება ეკონომიურ ბრძოლის საჭიროების შეგნება და დეკრეტების ტაქტიკა იმარჯვებს.

ასეთ ტაქტიკის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის მოწერილობა, რომელიც ჩვენმა რედაქციამ მიიღო, ამ მოწერილობაში სწერია: წინადადებას გაძლევთ ამ თვის თხუთმეტიდან მოუმატოთ მომუშავეებს ჯამაგირი—50 პროცენტი, ვინც სამას მანეთამდი იღებს თვეში, ხოლო ვინც მეტს იღებს—40 პროცენტიო.

ჩვენ კარგად გვესმის, თუ რა აუტანელ პირობებში იმყოფებიან მუშები დღეს სიძვირის გამო. ამიტომ მუშების მოთხოვნილების წინააღმდეგ არსებითად შეუძლებელია რამე ითქვას. მაგრამ ნუ თუ საჭირო არ იყო სახეში მიეღოთ წარმოების მდგომარეობაც დღეს ორი აბაზი ღირს ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი. შეეკითხა თუ არა კავშირი თავის თავს, როგორ უნდა გაიყიდოს გაზეთი ამ მოთხოვნილების ასრულების შემდეგ? ან იქნებ ეს მას არ აინტერესებს?

გარდა ამისა ჩვენი რედაქტორი იღებს თვეში ხუთას მანეთს, სხვა წევრები 300—400 მან. ამათაც ხომ უნდა მოუმატოთ? თუ უმცროსი კორექტორი, რომელმაც წერა-კითხვა არც კი იცის რიგიანად, რედაქტორზე მეტს უნდა იღებდეს? კავშირი დაგვეთანხმება, რომ ასეთი მდგომარეობა ვერ ჩაითვლება ნორმალურ მდგომარეობათ.

კიდევ ერთი კითხვა: რატომ 50 და 40 პროცენტით უნდა გაუდიდდეს ჯამაგირი და არა სხვა მეტით ან ნაკლებით? უკანასკნელ მომატების შემდეგ ამდენით გაძვირდა სურსათ სანოვაგე, ბინა და სხვ.?

თავი და თავი აღნიშნულ მოწერილობისა არის მისი ულტიმატიური ხასიათი. მაგრამ სანამ ულტიმატუმს წარუდგენდენ, ხომ მოლაპარაკება იმართება ჩვეულებრივ. რა საჭიროა პირდაპირ ომის გამოცხადება, რადგან თუ გაზეთებმა უარი თქვეს, ხომ გაფიცვის გამოცხადება იქნება საჭირო? ხომ შესაძლოა, რომ გაზეთების გამომცემლებმა ვერ აიტანონ კავშირის მოთხოვნით გამოწვეული ხარჯები და გაზეთები დაკეტონ. თავი დავანებოთ იმ ზიანს, რომელსაც პრესის მოსპობა მიაყენებს რევოლიუციის და თავისუფლების საქმეს. ამ შემთხვევაში თითონ ასოთამწყობები რომ უადგილოთ დარჩებიან, აქვს თუ არა კავშირს საშუალება სამაგიერო ადგილი უშოვოს მათ.

ყველა ეს კითხვები იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ მეტი არ იქნებოდა კავშირს ყურადღება მიექცია მათთვის.

ჩვენს კავშირებს მეტი სიდინჯე და წინ დახედულება მოეთხოვება.

## პრესა

„საქართველომ" დიდ ცოდვაში დაგვიჭირა: საქართველოს მოღალატეობაში

იმდენათ დარწმუნებულია თავის საგამომძიებლო ნიჭსა და უნარში, რომ პასუხსაც არ უცდის, დამნაშავესთვის ჩვენება არც კი ჩამოურთმევია, პირდაპირ პოლიტიკურ შეკითხვას უსვამს მთავრობას და ს. დ. ფრაქციის ცნობილ ხელმძღვანელ ირ. წერეთელს.

„იცის თუ არა ეს ამბავი საბჭოს წევრმა წერეთელმა და თუ იცის, რა სახელს არქმევს მისი გაზეთის საქციელს? ღალატს თუ უგნურებას".

მკითხველს გაუკვირდება, რა ღალატი ჩაიდინა ასეთი „ერთობა"-მო. ახლავე მოგახსენებთ. ჩვენ ვწერდით: „ჩვენი სურვილია ამიერ-კავკასიის ფედერაცია—ესე იგი, აღდგენა იმისა განახლებული სახით, რაც ასეთი ულმობელობით, ასე უდროოთ შთანთქა ამ რამდენიმე თვის წინეთ ისტორიის ბედის ტრიალმა".

აი საბრალმდებლო ოქმი ჩვენს წინააღმდეგ ჩვენივე სიტყვებით გამოთქმული. ჩვენ გვინდა მომავალში კვლავ აღსდგეს ამიერ-კავკასიის ერთა ფედერაცია. როგორ ფიქრობ მკითხველო, ეს ღალატი არ არის? უგნურება მაინც ხომ არის?

ჩვენ უნდა გამოვტყდეთ, რომ ზემომოყვანილი ბრალდება სავსებით გვაწვება კისერზე. კიდევ მეტი აწვება ნ. ჟორდანიას და ეროვნულ საბჭოსაც. პირველმა დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადების დროს თავის სიტყვაში იმედი გამოსთქვა მომავალში დღეს განშორებული რესპუბლიკები ისევ შეერთდებითო. საბჭომ ამას ტაშის ცემით დასტური დასცა.

ამრიგათ ჩვენ გავეცით ჩვენი ყველა თანამოაზრეები. „საქართველოს" თანამშრომელს ბ. ლ. ჯაფარიძეს, შეკითხვის ავტორს შეუძლია კითხვა გააფართოვოს. დაე აამუშავოს კიდევ კალამი. შეიძლება ბოლოს და ბოლოს თვით „საქართველოს" მკითხველიც დარწმუნდეს, სად არის უგნურება და უვიცობა, ჩვენს რედაქციაში თუ ლ. ჯაფარიძის კალმის და გონების ნაცოდვილევში.

ხოლო თუ მისი გონიერების შეძენის იმედი კიდევ არის, ვამცნობთ, რომ როცა ერი თავის სურვილით უერთდება მეორე ერს და კრავს მასთან თავისუფალ კავშირს ფედერატიულ ან სხვა საფუძველზე, ამით იგი არ კარგავს თავის სუვერენიტეტს, არამედ იზიარებს მას სხვა ერთან ერთად. მაშინ ისინი ერთი არიან მაინც სუვერენი—თავის ფედერატიულ სახელმწიფოში, ასე რომ ხალხი კი არაფერს კარგავს, ხოლო მოკავშირეს და ძალას იძენს.

და იმის სურვილი, რომელიც თანდაყოლილ აქვს ჩვენს რესპუბლიკას, არის არა ღალატი ქართველი ერის ინტერესების, არამედ მისი სისწორით გაგება და მის განმტკიცებაზე ზრუნვა. ესაა ყველა გონიერი ადამიანისთვის. ხოლო ლ. ჯაფარიძისთვის კი...

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

19 ივლისი.

**ბერლინი.** ენსა და მარნას შუა ხელახლა გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. აქ დაიწყეს შემოტევა. პირველად მათ შესძლეს ჩვენს პოზიციებში შემოჭრა, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ჯარებმა შესძლეს მათი შეჩერება. საღამოთი მტრის მიერ მთელს ფრონტზე მოტანილ იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 32 აეროპლანი. სამხრეთ-აღმოსავლეთით მარეილიდან მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მარნის და რეიმსის შორის და აგრეთვე რეიმსის აღმოსავლეთით ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ჩვენ მიერ წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 20 ათასამდე აღწევს.

**პარიზი.** გუშინ დილით დაიწყო შეტევა მდ. ენსა და მარნას შორის და გაგრძელდა მთელი დღე სისასტიკით. გერმანელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. მიუხედავათ მტრის მიერ სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენ მაინც წინ წავიწიეთ. მარცხენა ფრთაზე სუასონის სამხრეთ-დასავლეთით შადუნის ოლქში დაკავებული ადგილები შევინარჩუნეთ. მარჯვენა ფრთაზე საფრანგეთის ჯარებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ადგილი მონნის ჩრდილო-დასავლეთით. დღემდე წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 17 ათასს აღემატება. მათ შორის ორი პოლკოვნიკია და ერთი შტაბის აფიცერი. ფრანგებმა წამოიღეს 360 ზარბაზანი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. მთელი დღე-ღამე მშვიდათ ჩატარდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორივე მხრით საარტილერიო სროლას.

**კოპენჰაგენი.** პეტროგრადში გავრცელებულ ხოლერის გამო გემთა მიმოსვლა პეტროგრადსა და სტოკჰოლმს შორის შეჩერებულია.

**ტაშკენტი** (რადიო-დეპეშა მოსკოვიდან) კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია ზომებს იღებს აჯანყების ჩასაქრობათ. არჩეულია ამ მიზნით სამხედრო-სარევოლიუციო საბჭო, რომელშიაც შედიან: კობიზევი, ზვონოშინი, ბლაგონრავოვი, დანილევსკი, რასკოლნიკოვი, ლაცოგი და მთავარ-სარდალი ვაცენსი. აჯანყებულები ეყრდნობიან შემდეგ ცენტრებს: ომსკს, ტროიცკს, ჩელიაბინსკს, უფას, სამარას, სიზრანს, ორენბურგს და სხ. დღეს და ხვალ მოსკოვს დავრჩები. ხვალ ყაზანში მივდივარ, ჩვენს შტაბში. გზათა მიმოსვლის კომისარი კობიზევი.

## უკანასკნელი ცნობები

### საჩხერე.

19 ივლისის თარიღით საჩხერის შტაბისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „17 ივლისს დილა ადრიან ჩვენებმა შეტევა დაიწყეს მთელი საჩხერის ფრონტზე. ჩიხი-ივანწმინდა ყვირილის ხეობის მიმართულებით. აღმოჩნდა, რომ კვილნაული-ურგულის და ძველი ციხე მოიდანახეს მხრით მტერმაც ამავე დროს დაიწყო შემოტევა. სასტიკი ბრძოლა გაგრძელდა ორი დღე-ღამე. ჩვენი ჯარების შეთანხმებულმა მოქმედებამ მტრის ბანაკში არევ-დარევა შეიტანა, რასაც ხელი შეუწყო მათი ბელადის ხარებოვის სასიკვდილოთ დაჭრამ, რომელიც გზაში გარდაიცვალა. ტყვეთ წამოვიყვანეთ რამოდენიმე ათი კაცი—ოსები. გავანთავისუფლეთ ჩვენი სოფლებიდან ოსების მიერ ტყვეთ წაყვანილი 14 კაცი. ამათი სიკვდილით დასჯა უკვე გადაწყვეტილი იყო თურმე, მაგრამ ხელი შეუშალა ჩვენმა გამარჯვებამ. განთავისუფლებული ტყვეების სიტყვით შეიარაღებულ ოსთა რიცხვი 1500-მდე იყო, მათ მიმატებოდა ქართლელთა ბალშევიკური „ბანდა" 150 კაცისაგან შემდგარი და ადგილობრივი ბრბოები. მტრის ზარალი დაჭრილ-მოკლული და ტყვეთ წამოყვანილთა რიცხვი 160 კაცამდეა. ჩვენი მხრით მკვდარია გურიის გვარდიის რაზმელი ამხ. იასე ვასაძე და დაჭრილია 5 ამხანაგი. სხვა ნაწილებიდან მოკლულია მეთორმეტე პოლკის ჯარისკაცი ილია ეზუგაძე (?). სოფ. ჭალიდან სახლებიდან ოსებს წაუღიათ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეიძლებოდა. აღსანიშნავია ჩვენი ჯარების სხვადასხვა ნაწილების ერთსულოვანი, ენერგიული მოქმედება. გუშინიდან ჩვენ დაკავებული გვაქვს ს. ჭალა".

### ყარაიაზი.

მიწათ მოქმედების სამინისტროს რწმუნებული ყარაიაზიდან დეპეშით შემდეგს იტყობინება (20 ივლისს): გუშინ ყარაიაზის მაზრაში ჩვენს ტერიტორიაზე მოხდა დიდი შეტაკება ს. შიხლის მუსულმანთა და ქართველთა შორის, არის დახოცილები ორივე მხრით. დღეს ს. შიხლის მუსულმანების დელეგაცია მო-

ვიდა ყარაიაზში და მცხოვრებლებს წინადადება მისცა მთებში გახიზნულიყვნენ; რადგანაც ისინი იწყებენ ქართველებთან ბრძოლას. მდგომარეობა სერიოზულია. რწმუნებული თხოულობს ნებართვას გარეული დივიზიის რაზმს იარაღის ჩაბარება მოთხოვოს, ვინაიდ ნ ისინი ქართველებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. იქ მოქმედებს მე-8 ქართული პოლკის რაზმი და ჯავშნიანი მატარებელი.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

19 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

მდივანი აქვეყნებს ეროვნულ საბჭოს ახალ კანდიდატთა სიას, რომელნიც დასახელებულნი არიან სათანადო პარტიათა მიერ იმ პირების მაგიერ, რომლებმაც საბჭოს წევრობას თავი დაანებეს. საბჭომ სიები დაამტკიცა. განსახილველია ბონების გამოცემის საკითხი. მოხსენებას აკეთებს ი. ლორთქიფანიძე, რომელიც აღნიშნავს რა ფინანსიური საკითხის სიმწვავეს, ამბობს, რომ საფინანსო კომისიამ დაადგინა: 1) იმ 300 მილიონ მანეთის პასუხისმგებლობა, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ უნდა იკისროს საქართველომ, სომხეთმა და ადერბეიჯანის რესპუბლიკამ, სანამ საერთო ქონების გაყოფა მოხდებოდეს ამ სამ სახელმწიფოთა შორის, მანამ ამ 300 მილიონი მანეთის პასუხისმგებლობას საქართველოს რესპუბლიკა კისრულობს, 2) მთავრობას წინადადება მიეცეს საქართველოს პასუხისმგებლობით, საქართველოსავე საჭიროებისათვის განაგრძოს ბონების ბეჭვდა იმ სახით და ფორმით, რა სახითაც ეს დღემდე ხდებოდა.

**გ. ჟურული** (ფინანსთა მინისტრი) ამბობს, რომ ეს საკითხი საქართველოს რესპუბლიკისათვის შეიცავს უდიდეს ინტერესს, მის მოწესრიგებაზეა დამყარებული რესპუბლიკის არსებობის საკითხი.

ამიტომ მთავრობამ ამ საკითხს თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია და აგერ ერთი თვეა, რაც ამ საკითხს გარშემო ტრიალებს, მიღებულ იქნა ყოველგვარი ზომები, საფინანსო კომისიამ ბევრი იმუშავა, სპეციალისტებსაც მივანდეთ, მაგრამ სამწუხაროთ, საკუთარი ფულის გამოცემა ვერ შევძელით, რადგანაც, სახელმწიფომ რომ გამოსცეს ფული, საჭიროა ქონდეს საემისიო უფლება, ეს კი მოითხოვს სახელმწიფოში ნორმალური პირობების არსებობას, ჩვენ კი არ ვართ თავისუფალნი როგორც საგარეო, ისე საშინაო საფრთხისაგან. არის საქმის მეორე მხარეც: საქართველოს რადგანაც საკუთარი ფული არ ქონდა, არ შეეძლო თავისი ბონები გამოეცა.

ჩვენ იძულებული ვიყავით ამიერ-კავკასიის სახელით გამოგვეცა ბონები. ამიტომ საჭირო იყო სომხეთთან და ადერბეიჯანთან შეთანხმება. ადერბეიჯანმა შეთანხმება არ ისურვა, მან მოგვთხოვა ჯერ საერთო ქონების გაყოფა და შემდეგ ბონების გამოცემა. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ რუსეთის წინაშე იმ ქონებისათვის, რომელიც აქ სატახტო ქალაქში დარჩა, პასუხისმგებელია საქართველო, მასთან ჩვენ არ ვიცით, რამდენი ქონება დარჩა ადერბეიჯანში და სხვა. ამიტომ ამ ქონების პატრონი და პასუხისმგებელი ჯერ-ჯერობით ჩვენ ვართ. სომხეთთან, მიუხედავად ჩვენი ასეთი განცხადებისა შეთანხმება მაინც მოხდა. მათ წარმოვუყენეს 80 მილიონი მანეთის საჭიროება. ჩვენ კი 120 მილიონის, რადგანაც ჩვენ უნდა მოვახდინოთ ლიკვიდაცია რუსული დაწესებულების და ამისთვის კი საჭიროა დიდი თანხა. ამ რიგათ მთავრობის კანონ-პროექტი ბონების გამოცემის შესახებ ასეთია: სანამ საერთო ქონების გაყოფა და განაწილება მოხდებოდეს, იმ ამიერ კავკასიის მიერ გამოცემულ 300 მილიონის პასუხისმგებლობა მიიღონ სათანადო ხელშეკრულობის დადებით საქართველომ და სომხეთმა. გამოიცეს ახალი ბონები 200 მილიონი მანეთის, აქედან 80 მილ. მიეცეს სომხეთს, 120 მილ. კი—საქართველოს, პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ხელშეკრულობის დადებით ამ ორმა სახელმწიფომ.

**ს. მდივანი** (ს.-ფ.) ეხება რა ფინანსიური საკითხის მოწესრიგების დიად მნიშვნელობას სახელმწიფოს არსებობისათვის, ამბობს, რომ საქართველოს მთავრობამ ამ საკითხის მოგვარებაში შესაფერი ფხა ვერ გამოიჩინა. თუ ამიერ კავკასიის კომისარიატს და სეიმს შეეძლო ბონების გამოშვება ამის უფლება საქართველოს უფრო მეტი ჰქონდა, რადგანაც უკანასკნელი ამიერ-კავკასიაში ერთად ერთი წესიერი სახელმწიფოა. ორატორი უსაყვედურებს კომისიას და სამინისტროს, რომ მათ ეს საკითხი დღემდი ვერ გადასწყვეს და სხვა, მაგრამ რადგანაც ფაქტის წინაშე ვართ დაყენებული, ამბობს ორატორი, მხარი უნდა დავუჭიროთ მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ პროექტს, თუმცა ჩვენი ფრაქცია საუკეთესოდ ხედავდა საქართველოს ბონების გამოცემას, მხოლოდ რაოდენობა ბონებისა შემცირებულ იქნას 120 მილიონ მანეთამდე, მთავრობა დღიდანვე შეუდგეს საქართველოს ბონების გამოცემას, რადგან საკუთარი ბიუჯეტის შემუშავებამდე ეს ფულები არ გვეყოფა. მესამეთ,—როცა სამინისტროს ასეთი მწვავე საკითხები ექნება გადასაჭრელი, მაშინ მან ამას ფართო ხასიათი უნდა მისცეს და პარლამენტარული გზით უნდა გადაწყდეს ასეთი საკითხები.

**ი. მაჭავარიანი** ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის სახელით უარყოფს მთავრობის კანონ პროექტს ბონების გამოცემის შესახებ. ის ამბობს, რომ იმ 80 მილიონი მანეთის პასუხისმგებლობა, რომელსაც სომხები წაიღებენ, ჩვენ დაგვატყდებაო. სომხები ამ ფულებით ვერ შეჰქმნიან არარატის რესპუბლიკას და ამ ფულებს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მოიხმარენ. რადგანაც, როგორც ვიცით სომხების ორიენტაცია არ ეთანხმება ჩვენს ორიენტაციას, ორატორი მოითხოვს საქართველოს მთავრობამ გამოსცეს ამიერ კავკასიის სახელით ბონები მარტო საქართველოს საჭიროებისათვის, რადგანაც ფაქტიურად ყველა ამ გამოცემული ბონების პასუხისმგებელი საქართველოს რესპუბლიკა იქნებაო.

**გ. ჟურული** უპასუხებს ს. მდივანს და ამბობს, რომ მთავრობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების დღიდანვე შეუდგა ფინანსიური საკითხის მოწესრიგებას, მან ყოველივე ზომები იხმარა ამის შესახებ, აკ. ჩხენკელს და ევ. გეგეჭკორსაც დაავალა გერმანიიდან სპეციალისტის გამოგზავნის შესახებ და სხვა, ამიტომ ს. მდივანის საყვედური უადგილოა. მე მგონია, აქ კამათს გამოიწვევდა იმ 300 მილიონი მანეთის პასუხისმგებლობის საკითხი და არა 80 მილიონ მანეთის სომხებისათვის გადაცემა.

**ირ. წერეთელი:** მე არ შევჩერდები იმ დებულებაზე, რომელნიც აქ ს. მდივანმა წამოაყენა და რომელნიც ფინანსთა მისტრ. დაარღვია. რაც შეეხება საქართველოს ბონებს, აქ ბანკების განცხადებას დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოთ. ძალდატანებით შეიძლება ბონების გამოშვება და განაღდება, მაგრამ იმ პირობებში, რომლებშიაც ჩვენი რესპუბლიკა დღეს იმყოფება ძალ დატანებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. ორატორი აღნიშნავს ამ საკითხის სირთულეს და ამბობს, რომ ჩვენ მხოლოდ ისეთი ბონები შეგვიძლია გამოვსცეთ, რომლის პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენ დაგვატყდება. ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ საემისიო აპარატით და გამოვსცეთ ბონები, მაგრამ ეს იქნება ჩვენი არსებობის წინააღმდეგ მიმართული, ჩვენ ამ შემთხვევაში საერთაშორისო უფლება არ უნდა დავივიწყოთ, ს. მდივანმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ფულის პასუხისმგებლობა არ არის დამოკიდებული მარტო იმ სახელმწიფოზე, რომელიც სცემს, არამედ სხვა სახელმწიფოებზედაც არის დამოკიდებული, როცა ჩვენ გამოვსცემთ 200 მილიონ მანეთს საკუთარი პასუხისმგებლობით, მაშინ ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ფულის ნაწილის რეალური პასუხისმგებლობა მაინც დაატყდება ადერბეჯანსაც. რადგანაც როცა ჩვენ იმავე სახის ბონებს გამოვსცემთ, რა სახითაც წინეთ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა სომხეთში და ადერბეიჯანში ბონების ფასს დასცემს. როგორც ხედავთ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გავუნაწილოთ მათ ბონები. ჩვენ აუცილებლათ უნდა დავიცვათ სხვისი კანონიერი უფლებები. როცა ჩვენ მეზობელ სახელმწიფოების კანონიერ უფლებებს პატივს ვსცემთ და ყურადღებას ვაქცევთ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას გარეშე სახელმწიფოები კარგათ შეხედავენ და სხვ. მაგრამ თუ ჩვენ საემისიო აპარატი მარტოდ მოვიხმარეთ და სომხეთ-ადერბეიჯანის დაუკითხავათ გამოვეცით ბონები, მაშინ ჩვენ არა თუ იმ 200 მილ. არამედ წინანდელი სამასი მილიონის პასუხისმგებლობაც დაგვატყდება თავზე. გარეგნულათ თითქოს საქართველოსათვის სასარგებლოა ის აზრი, რომელსაც აქ იცავდენ წინა ორატორები, მაგრამ სინამდვილეში კი ძირს უთხრის ჩვენი რესპუბლიკის არსებობას ჩვენ რომ ბოროტათ მოვიხმაროთ საემისიო აპარატი და უფლება, ეს ლეგალური საბუთი იქნება სხვა სახელმწიფოებისათვის ჩვენს საწინააღმდეგოთ. მაჭავარიანმა ბრძანა, რომ სომხეთმა შეიძლება ჩვენს საწინააღმდეგოთ მოიხმაროს ეს 80 მილიონი მანეთიო ჩემის ღრმა რწმენით, 80 მილ. კი არა 200 მილ. რომ მოახმარონ ცილისწამებას, ერთი მეათედს იმისას არ დაგვაკლებენ, რასაც ერთი ნაღდვილი ფაქტი, რომელიც მოწინააღმდეგეს მისცემს რეალურ საფუძველს ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის: გარეშე სახელმწიფოები იტყვიან, რომ პატარა სახელმწიფომ სხვისის უფლებების დარღვევით დაიწყო ცხოვრება, იცით თუ არა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა ექნება? შემდეგ ორატორს მოყავს მაგალითი გერმანიის ს.-დემოკრატების შეხედულებიდან ჩვენს სოც.-დემოკრატიაზე; როცა მათ არ იცოდენ ყველა ის პირობები, რომლებმაც ჩვენ გვაიძულა გვეწარმოებია ის ტაკტიკა, რომელსაც ვაწარმოებთ, ჩვენს პოლიტიკურ ხაზს ისინი უარყოფით შეხედენ, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ ჩვენ სამართლიანათ მოვიქეცით და მეტი გამოსავალი გზა აღარ გვქონდა, მაშინ მათ დახმარება აღგვითქვეს. ჩვენ იმას კი არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ის ფულები დაშნაკცაკანების პარტიის გამგებლობაში იქნება და სხვ. არამედ ჩვენ სახეში უნდა გვქონდეს ზნეობრივი პასუხისმგებლობა. წინანდელ ბონებზე ხელს აწერს სომხეთის მთავრობის წარმომადგენელი და თუ სომხეთი ჩვენთან იქნა, მაშინ ქვეყანა დაინახავს, რომ ჩვენ უსამართლოდ არ მოვიქცეულვართ და მაშინ რეალურად ადერბეიჯანსაც ექნება ამის პასუხისმგებლობა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს დროებითი, გარეგნულად მიმზიდველი პოლიტიკის უარყოფით მხარეებს და ამბობს, რომ ჩვენ პრაქტიკიდან ვიცით, თუ რამდენათ მწვავე და მწარე ნაციონალისტური პოლიტიკიდან გამომდინარე შედეგებიო. მცირე კამათის შემდეგ საბჭომ მუხლობრივად განიხილა საფინანსო მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონ პროექტი და მიიღო.

აკ. ხ—უა.

## ახალი ამბები

**ბონები.** საქართველოს რესპუბლიკისა და სომხის მთავრობის შორის მოხდა შეთანხმება ბონების გამოცების შესახებ. უნდა გამოვიდეს 200 მილიონის ბონები. აქედან 120 მილიონი საქართველოსათვის და 80 მილ. სომხეთისათვის. ადერბეიჯანის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მ. ი. ჯაფაროვმა პროტესტი განაცხადა ისეთი ბონების გამოცემისათვის, როგორიც დღემდე იყო.

◆ **შრომის სამინისტრომ** შუამდგომლობა აღძრა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დახმარება აღმოუჩინოს იმ მუშებს, 100 კაცს, რომლებიც მუშაობდენ ჯულფა-ბაქოს რკინის გზაზე და რომელნიც ჯარის წასვლის შემდეგ დარჩნენ ორდუბათში. ორდუბათის მცხოვრებნი მათ წამოსვლის ნებას არ აძლევენ, რადგანაც მათ უნდა მისცენ მცხოვრებლებს ამ გზაზე ნამუშევარი 200,000 მანეთი. როგორც იქიდან გამოქცეული მუშა გადმოგვცემს, ისინი საშინელ მდგომარეობას განიცდიან. ამისათვის შრომის სამინისტრო სთხოვს გარეშე საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა აღძრას ოსმალეთის მთავრობის წინაშე, რომ მუშები გამოშვებულნი იქნენ. ორდუბათის მცხოვრებთა მოთხოვნილება გარჩეული იქნება საერთაშორისო კომისიაში.

◆ **ახალი პურის შემოტანა** თფილისში გახშირდა, მაგრამ ფქვილი მეტად ძვირად ფასობს. გუშინ ხორბლის ფქვილი იყიდება 130 მ. ფუთი. ადგილობრივ კერძო ვაჭრებს ეს ფქვილი უჯდებათ 30—35 მ. ფუთი.

◆ **ტყავი.** როგორც გადმოგვცეს, განსაკუთრებულ კომიტეტში, რომელსაც მინდობილი აქვს ტყავეულობის გაყიდვა, მთელი რიგი წინადადებები შემოსულა ვაჭარ მრეწველთაგან საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

◆ **თფილისში ჩამოიყვანეს** ფოთში დაკავებული ხაზინადარი მე-4 ბორჩალოს მუსულმანთა პოლკის პორ. რიაბჩინსკი, რომელსაც 300,000 მეტი ფული მიეღო პოლკის შტაბიდან და რუსეთში გაპარვას აპირებდა.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვადასხვა ნაწილებიდან საავადმყოფოში მიიყვანეს 22 ხოლერიანი და 5 საეჭვო. უკანასკნელ დღე-ღამეში გარდაიცვალა 14 კაცი. ხოლერასთან საბრძოლველი თანხის გასაძლიერებლად ქალაქის კასაში გერმანიის და ავსტრიის მისიებმა შეიტანეს ათას-ათასი მანეთი.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრის** განკარგულებით, რადგანაც ქ. თფილისს და მის მიდამოებს ხოლერის და სხვადასხვა გადამდებ ავადმყოფობისგან საშიშროება მოელის,, არსდება საგუბერნიო სანიტარო აღმ. კომიტეტი.

◆ **ქალაქის ახლო მდებარე მამულთა** მიმღები კომისია იწყებს ს. ავის მუშაობას მიწების საადგილ მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადასაცემად 22 ივლისიდან საბურთალოს რაიონში. მიწის მფლობელთ და ყველა დაინტერესებულ პირთ კომისია იწვევს კანცელარიაში (საბურთალო, სახლი მახვილაძისა, საყდრის ახლოს), რომ მათ მისცენ ცნობები, თუ ამ რაიონის ყოველ მიწათ მფლობელს რამდენი მიწა მოეპოვება.

◆ **ინგურიდან სოხუმამდე** შავი ზღვის რკინის ჩასაბარებლათ შესდგა საგანგებო კომისია.

◆ **დატუსაღება.** გარნიზონის უფროსმა დაპატიმრა ცხენის მოპარვისათვის ჯარისკაცი სიდორე გუსბერიძე. ბრძანების შეუსრულებლობისათვის—ჯარისკაცი ნ. ბოროზნიდი, თამბაქოს მოპარვისათვის—ვლ. ახიშვი.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის** დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ბიჭაშვილი სთხოვს კომიტეტის წევრებს და ყველა მათ, ვინც კომიტეტის საქმეში იღებდა მონაწილეობას, აუცილებლათ შეიკრიბონ სასახლეში, ოთახი № 16 კვირას, 21 ივლისს, დილით 10 საათზე ძლიერ საჭირო კითხვების გადასაწყვეტათ. გაკეთებული იქნება მოხსენება რაჭა-ლეჩხუმის შესახებ.

◆ **ქუთაისის გუბ. კომისარ** ჩხეკვიშვილმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან დაარსდეს საგანგებო კომისია ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებისაგან შემდგარი, რომელიც გამოარკვევს ოზურგეთის მცხოვრებთა ზარალს თათრების შემოსევის დროს.

◆ **ფოთის ნავთსადგურის** უფროსი იტყობინება, რომ სადგურში შემოსაზიდ გასაზიდ საქონელზე დაწესებულ გადასახადების შესახებ ფოთის ნავთსადგურისა და გერმანიის წარმომადგენელს შორის შეთანხმება მოხდა.

◆ **პოლონელთა ეროვნულ საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, მიეცეს პოლონელ ოფიცრებს 20 ათასი მანეთი.

◆ **სამეგრელოს დამხმარებელ კომიტეტში.** ორშაბათს, მკათათვის 16 ს, შესდგა ექიმ შალამბერიძის ბინაზე პირველი სხდომა „სამეგრელოს დამხმარებელ კომიტეტისა“. ამ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ დუტუ მეგრელი, მის ამხანაგათ ექ. შალამბერიძე და მდივნათ ცომაია. კრებამ გამოჰყო შემდეგი სექციები: საფინანსო, სარედაქციო, ჯანმრთელობის და საორგანიზაციო. პირველი კრება ამით დამთავრდა. შემდეგი კრება კომიტეტისა დანიშნულია დღეისათვის, დილის 11 საათზე, ექ. შალამბერიძის ბინაზე, პეტროგრადის ქუჩა, № 7.

◆ **თავისუფალი თეატრი.** „სახალხო კლუბი“ მიხეილის ქ. № 66. ხუთშაბათს 25 მკათათვეს მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი გამართავს სახალხო კონცერტს. ბილეთები იყიდება იქვე კასაში.

◆ **დათხოვნილ იქმნენ** თანახმად თხოვნისა სამსახურიდან ინჟინერ-ტეხნოლოგი ლარიონოვი, პრიკაშჩიკოვი და პრედბორსკი. კახეთის რკინის გზის გამგეთ და ტეხნიკურ ნაწილის მართველათ დაინიშნა წივწივაძე. გზის სამსახურის უფროსათ და გამგის მოადგილეთ ინჟინერი ჰოჰ ნაძე რკ. გზის 1 ნაწილის უფროსათ ლეჟავა; მეორე ნაწილის უფროსათ უტიშევი. ტუსიევი—„ტიაგის“ ნაწილისა და ნავთლუღის დეპოს უფროსათ, ქეიშვილი—კახ. რკ. გზ. პირველი ნაწილის უფროსის თანაშემწეთ.

### კრებები და მიტინგები.

23 ივლისს საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში შესდგება კრება ქ. თფილისის მუშათა და სალდათთა საბჭოსი. დღის წესრიგი: დღევანდელი მომენტი. მომხსენებელი იქნება ირ. გ. წერეთელი.

— დღეს, 21 ივლისს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბში (მიხ. ქ. 65), შესდგება საერთო კრება შოფერთა პროფესიონალური კავშირისა, ქალაქის გამგეობის მიერ ავტომობილებზე გადასახადის მომატების შესახებ.

— დღეს, დილის 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

## პროვინციის ქრონიკა

**აგარაკი ცემი.** მოახლოვდა თუ არა ვანობა (24 ივლისი, ძველი სტილით) მცხოვრებლებში გაისმა დღეობის საწინააღმდეგო ხმა. მაგრამ უმრავლესობამ გაიმარჯვა ამის წინააღმდეგ და შეუდგენ დღეობის თადარიგს. კოოპერატივმა, რომელსაც ცალიერ ბოთლების გარდა არაფერი ეწყო დუქანში და მოიტანა რამოდენიმე „ბოჩკა“ ღვინო გასაყიდათ. 23 საღამოს იწყეს სტუმრებმა დენა. მოვიდენ მეზურნეები, მეარღნეები. მთელი ღამე არ შეწყვეტილა არღნის და ზურნის ჭყვინი. გათენდა 24 ივლისი. ბორჯომიდან ჩამოვიდა მილიცია წესიერების დასაცავათ. დამთვრალი ხალხი აღმა დაღმა უწესოდ ისროდა თოფებს. წესიერების დამცველმა მილიციონერებმაც მათ მიბაძეს და მთელი დღე გაუჩუმებით სროლა იყო. მეგარეკენი შეშინდენ. ნეტა როდის შეიგნებს ხალხი ასეთი დღეობის გადახდის უვარგისობას?

**თელავი.** ქალაქის საბჭომ პატივი სცა ფეხზე ადგომით გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნას და დაადგინა მისი სახელის აღსანიშნავად გაიხსნას ქ. თელავში ბიბლიოთეკა სამკითხველო.

**აკეთი.** (გურია) ამ დღეებში სოფ. ქვედა აკეთში ვიღაცეებმა თოფით მოჰკლეს მღ. დიომიდე ჩხაიძე და შემდეგ მიცვალებული დაასახიჩრეს. ამ მკვლელობამ მთელი გურია შეაშფოთა. რევოლიუციის პირველ დღეებში მღდ. ჩხაიძეს აუხირდენ და თავის სოფელში მღვდლათ არ ინდომეს, რამდენიმე დღეს შინაურულადაც იყო დატყვევებული, დაინიშნა გამოძიება, რომელმაც გამოარკვია, რომ მას არავითარი პოლიტიკური დანაშაული არ მიუძღვის, ამ გამართლების შემდეგ ჩხაიძეს მასწავლებლის ადგილი მისცეს ბათუმის ქალაქის გიმნაზიაში. როგორც აქედან ირკვევა, მისი მკვლელობა გამოწვეულია კერძო ნიადაგზე, სრული იმედია მკვლელები სხვების სამაგალითოთ დაისჯებიან.

## კანონები

(მიღებული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ)

### I

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეობისა (ქვეშევრდომობისა.**

1) ყოველი მკვიდრი მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკის, არის საქართველოს მოქალაქე.

**შენიშვნა:** მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე (ძვ. სტ.).

2) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს არ შეუძლია იყოს იმავე დროს მოქალაქედ სხვა სახელმწიფოსი.

3) საქართველოს რესპუბლიკაში მხოლოდ მისი მოქალაქენი არიან აღჭურვილნი პოლიტიკური უფლებით (აქტიური და პასიური უფლება პარლამენტისა და ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებისათვის და სხვა).

**შენიშვნა:** მთავრობას უფლება აქვს განსაკუთრებულ შემთხვევაში დროებით, სანამ დაწესებულებათა გარდაქმნა დამთავრდებოდეს, მოიწვიოს თანამდებობაზე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

4) პირობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომის მიღებისა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისა განსაზღვრული იქნება ცალკე კანონი.

16 ივლისი 1918 წ.

### II

**საშუალო სკოლის ქართველ მასწავლებელთა საზაფხულო კურსებისა.**

1) ამა წლის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში დაარსდეს ქ. თფილისში ორის თვით კურსები ქართულ საშუალო სკოლის მაწავლებელთათვის.

2) კურსების მოსაწყობათ ხაზინიდან გაღებულ იქნეს ას ორმოცდა ათი ათასი მან. (150.000).

16 ივლისი 1918 წ.

### III

**სახალხო სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებისა.**

ამ წლის ზაფხულის თვეების განმავლობაში გაიმართოს სამი თვის ვადით კურსები პირველ დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

2) დაევალოს განათლების მინისტრს შემუშავება სასწავლო გეგმისა და პროგრამების, აღნიშვნა კურსების მოსაწყობი ადგილებისა, მოწვევა კურსების გამგეთა და მასწავლებელთა, შემუშავება წესისა, რომლის თანახმადაც უნდა მიღებულ იქმნენ კურსების მსმენელნი და მიენიჭოს მათ მასწავლებლის უფლება.

3) კურსების მოსაწყობად და შესანახად გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან 252.500 მან. თანახმად ამ კანონთან დართულ ხარჯთაღრიცხვისა.

16 ივლისი 1918 წელს.

## ორიოდე სიტყვა სათათრეთის ახალ ორიენტაციაზე

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრს სწერენ და ლაპარაკობენ, რომ სათათრეთში ინგლისური ორიენტაცია ფეხს იკიდებსო. უნდა ვსთქვათ, რომ ინგლისური მიდრეკილება დიდი ხნიდან არსებობს ზოგიერთ წრეებში, მხოლოდ ეს წრეები ამ უკანასკნელ დრომდე ვერ ბედავდენ აშკარათ გამოსვლას.

ინგლისის გავლენა დაახლოვებით ოთხმოციან წლებიდან იწყება სათათრეთში. ინგლისის კაპიტალი ამ ხანებში აქ უხვად შემოიჭრა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი წარმოებანი ხელთ იგდო. გერმანია, რასაკვირველია, გულგრილად ვერ შეხვდებოდა სათათრეთში ინგლისის ეკონომიურ გაძლიერებას და მანაც აამუშავა ამ მდიდარ, მაგრამ ჩამორჩენილ ქვეყანაში თავისი ძლიერი კაპიტალი. რკინის გზების გაყვანა, ფულის სესხათ მიცემა, სათათრეთის ბაზრის ექსპლოატაცია, აბდულ-გამიდის პოლიტიკისთვის ხელის შეწყობა, ბალკანეთის ომის დროს და მის შემდეგაც სათათრეთისთვის დიდძალი იარაღის მიწოდება, აი ის ჩემის აზრით, უმთავრესი მომენტები, რომელთა საშუალებით გერმანიის იმპერიალისტები გაბატონდენ სათათრეთში, გაბატონდენ ეკონომიურათ და შეიჭრენ თვით პოლიტიკურ სფეროშიდაც. ამას დაუმატეთ [illegible] გერმანიის იმპერიალისტების [illegible] კონცესიის, [illegible] კონცესიის ხელში ჩაგდება. ამ დროდან ინგლისის გავლენა სათათრეთში კლებულობს, გერმანიის კი მატულობს.

ამ მიზეზია გამო, სათათრეთი ომში ჩაება გერმანიის მხრივ, თუმცა ამას დიდ წინააღმდეგობას უწევდენ ის წრეები რომელნიც ინგლისის ეკონომიურ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, ინგლისის პოლიტიკას იზიარებდენ. ეს უკანასკნელი წრეები დროებით მიიმალნენ, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში აშკარათ გამოდიან და გაიძახიან, რომ გერმანიის გამარჯვება სათათრეთისათვის ნიშნავს ამ უკანასკნელის გერმანიის კოლონიათ გადაქცევას. ეს წრეები გამოძახილს პოულობენ ინტელიგენციის წრეებში, რომელნიც ინგლისის სასარგებლოთ დაუღალავ აგიტაციას ეწევიან. იწყება ახალი ორიენტაცია, ინგლისთან ჩუმი მოლაპარაკება. ძნელი სათქმელია, შესძლებენ თუ არა ახალი ორიენტაციის მეთაურნი სათათრეთის პოლიტიკის რადიკალურათ შეცვლას. მაგრამ აქ შეუძლებელი არა არის რა.

მე აქ მაინტერესებს ის, თუ რა მოგველის ჩვენ, თუ სათათრეთმა თავისი პოლიტიკა რადიკალურათ შესცვალა, თუ სათათრეთში ინგლისურმა მიდრეკილებამ გაიმარჯვა. ეჭვს გარეშეა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენი მდგომარეობა მეტად ძნელი შეიქნება. არავისთვის დასამალი არ არის, რომ ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ქართველობამ სთქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა, მან თავისი ბედი გერმანიის შეუკავშირა. რაც შეეხება მაგ. სომხებს, დაშნაკელების მეთაურობით, ან რუსებს ისინი არ მალავენ თავის წადილს, ისინი ახლაც ამღვრევენ წყალს და კბილს ილესავენ და თუ სათათრეთმა ფრონტი იცვალა, ეჭვს გარეშეა, როგორც ერთი კაცი, თავს წამოყოფენ, რომ ჩვენს რესპუბლიკას სიცოცხლე მოუსპონ, ქართველ დემოკრატიას ლახვარი ჩასცენ. ჩვენ ვალდებულნი ვართ ამას დროზე ჩაუფიქრდეთ და ახლავე უფრო მედგრათ შეუდგეთ ჩვენი მდგომარეობის განმტკიცებას.

ი. სალაყაია.

## რუსული ინტერნაციონალიზმი!

ამას წინეთ „ტრუდოვოე ზნამიაში“ თფილისის ბეჭდვითი მუშათა კავშირის წევრთა საზოგადო კრების ანგარიში წავიკითხე.

როგორც ანგარიშიდან სჩანდა, კრებაზე რამდენიმე კაცმა მოითხოვა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რაღაც მოხსენების ქართულად გადათარგმნა. ამან უკმაყოფილება გამოიწვია არა ქართველებსა და ზოგიერთ ქართველებს შორის. ყველას გესმით რუსული და რატომ უნდა მაინცა და მაინც ქართულად გადავითარგმნოთო.

ს. კილაძემ წარმოსთქვა: „ნეტავი ვიცოდე, ქართველებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ხომ არ დაგვ წყნიათ რუსულიო“.

როცა ეს წავიკითხე, ერთი ამხანაგის ნაამბობი მომაგონდა. იმერეთში რკინის გზის ერთ-ერთ სადგურზე სოფლელ ქალს დოქით ღვინო გამოეტანა გასასყიდათ. მივიდა რუსი კონდუქტორი და 35 კაპეიკი შეაძლია, ქალმა ექვს შაური დაუფასა. სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკობდენ და ვერ „მორიგდენო“. ამხანაგმა დაუმატა: ის რუსი კონდუქტორი რამდენიმე ათი წელი ნამსახური იყო ჩვენში, თფილის ბათუმის გზაზე, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ იცოდა ქართულიო.

ცხოვრების დაკვირვებულ ადამიანს კითხვა დაებადება და მის გადასაჭრელად პასუხსაც ადვილად იპოვის, თუ რატომ რუსმა არ იცოდა ქართული!

ს. კილაძეები კი მაშინ, ალბათ, კითხვას ასე დააყენებენ: რატომ იმ დედაკაცმა რუსული არ ისწავლა თუ ღვინო აქვს გასაყიდი, რუსულიც უნდა იცოდესო

1905 წლის განთავისუფლებელ მოძრაობამდე რაჭის მაზრის ერთ-ერთ სოფლის სამმართველოში ვიყავი. იქ მთელი საქმის წარმოება მაშინ რუსულ ენაზე იყო. მწერალი ნაცნობი აღმოჩნდა. სოფლის სასამართლოს განაჩენის წიგნი გადავათვალიერე. რაღაც უბრალო საჩივარი იყო ჩაწერილი. განაჩენიც გამოეტანა სასამართლოს, მაგრამ ის არ შეეფერებოდა საჩივარს. რა თქმა უნდა, მოსამართლენი განაჩენს შესაფერს გამოიტანდენ, მაგრამ რუსული ენის სუსტად მცოდნე მწერალმა ის თავისებურად ჩასწერა.

ს. კილაძეები მაშინ, ალბათ, იტყოდენ: რატომ ვერ გისწავლიათ რუსული ხეირიანათო!

1910 წელს თფილისში გუბერნატორის ლოზნო-ლოზინსკის თავმჯდომა-

რეობით საერთო თათბირი გამართა. ჩვენს ენაწყლიან ინტელიგენციასთან ერთად მონაწილეობას იღებდენ თათბირში ქართველი გლეხები, რომლებიც რუსულად ლაპარაკობდენ. ქართულად ლაპარაკის ნება მათ გუბერნატორმა არ დართო. მთელი საცოდაობა იყო გლეხების რუსული ლაპარაკის მოსმენა. გუბერნატორი კი ამბობდა გულში, ალბათ: რატომ ვერ ისწავლეთ რუსულიო. ამასვე იმეორებდენ მაშინ ს. კილაძეები.

1905 წლამდე სკოლებში მუნჯური, ლევიცკის მეთოდით ასწავლიდენ. სახალხო სკოლაში დავესწარი ინსპექტორის რევიზიას. პირველი განყოფილების მოსწავლეს ქაღალდი აჩვენა და ჰკითხა: რა არის ესო,—ბავშვმა რუსულათ დაიწყო: ЭТО—ქაღალდიო. ინსპექტორმა მასწავლებელს შენიშვნა მისცა, ჩანს, ქართულათ უხსნი ყველაფერს, ეს არ შეიძლებაო. ინსპექტორი გულში, ალბათ, ფიქრობდა: რატომ ამ ბავშვმა დაბადებიდანვე რუსული არ იცოდაო? ამავე იტყოდა მაშინ, ალბათ, ს. კილაძე.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. აღარ გვეუბნებიან რატომ რუსული არ იცითო. გვეკითხებიან: როდის დაგავიწყდათ რუსულიო. ამას გარდა, „ტრუდოვოე ზნამია" ახლა სწერს: „როგორც ვიცით, რუსული ენა ამიერ კავკასიაში თითქმის ინტერნაციონალური ენაა. პროფესიონალური კავშირის (ლაპარაკია ბეჭდვითი საქმის მუშ. პროფ. კავშ.) დღემდე ყველა საქმეები, საერთო კრებები და სხდომები სწარმოებდენ რუსულ ენაზე და უკანასკნელ დრომდე ამის გამო არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია"...

მოიგონოს „ტრუდ. ზნამ." ლევიცკის მეთოდი, სოფლის სასამართლოში რუსულად საქმეების წარმოება და შემდეგ სთქვას, თუ როგორის უკუღმართობით გამხდარა რუსული ენა ამიერ კავკასიაში ინტერნაციონალურ ენათ. მაგრამ თავი დავანებოთ ყველაფერს და ვკითხოთ: რა გააკეთა ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის გამგეობამ დღემდე, ან იმ პირებმა, რომლებიც „ტრუდოვოე ზნამიას" გარშემო შემოკრებილან და გაიძახიან, „ძირს ნაციონალიზმიო", რომ მათ თავიდან აეცილებიათ ყოველგვარი გაუგებრობა, რომ მათ შეექნათ კავშირში ნაციონალური სექციები, რასაც პროფესიონალური მოძრაობის პრინციპი და პრაქტიკა მოითხოვს. ხომ აღარ ექნებოდა ალაგი გაუგებრობას?

მაგრამ ამ ხალხს დიდათ ეადვილება ძახილი—„ძირს ნაციონალიზმი, გაუმარჯოს ინტერნაციონალიზმ!" თვით კი რუსულ ნაციონალიზმს ქადაგებენ.

წინეთ გვეკითხებოდენ—რატომ არ იცით რუსულიო,

ახლა გვეკითხებიან: როდის აქეთაა, რომ დაგავიწყდათ.

მინდა ამ ხალხს ვკითხო: რატომ არის ქართულათ ლაპარაკი ცოდვა? რომის პაპი ქადაგებდა: ღმერთი მხოლოდ ლათინურ ენაზე უნდა ილოცონო.

ახლა „ტრუდოვოე ზნამია" ქადაგებს: „ინტერნაციონალიზმი მხოლოდ რუსულ ენაზე არსებობსო".

საქართველოს დამოუკიდებლობამდე კრებებზე ქართულათ ხშირათ ლაპარაკობდენ მუშები და თარგმნიდენ კიდეც სიტყვებს. მაშინ ეს ნაციონალისტობა არ იყო. ახლა რათ შეიქნა ერთი თარგმნა ნაციონალისტობა?

გ. მ.

## სახალხო მასწავლებლის საყურადღებოთ

(დასასრული)

საოცარი ამბავია. სახალხო სკოლა მკვდრეთით აღდგა, ის საზეიმოთ გვიწვევს, სკოლის მოჭირნახულე კი გულგატეხილი, თავჩაქინდრული სდგას ამ დიდებული აქტის წინაშე და ერთავათ სიმშილს უჩივის. სოფლის მასწავლებლის მეტად უმწეო ნივთიერი მდგომარეობა ყველასათვის აშკარა არის; მის სიტიტვლეს, სიმშილობას ჩვენი მთავრობაც კარგათ ხედავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მზიანი დღე ერთხელ მასწავლებელსაც გაუთენდება, როცა ლუკმა პური და სხეულის დაფარვა მისთვის უმთავრესი საზრუნავი საგანი აღარ იქნება, როცა მისი გონება მოიცლის ცნობილ ცირკულიარით აკრძალულ „ცხოვრების მაღალ მატერიებზე" მსჯელობისათვის. მაგრამ ყველა ამისთვის საჭიროა ჩვენ დავურწმუნოთ მთავრობა, რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა", რომ მასწავლებელი არ არის ჩვენი ცხოვრების ხორცმეტი, რომ მას არ დაუკარგავს უნარი შემოქმედებითი მუშაობაში მონაწილეობის მიღების. ჩვენ თვალწინ მეტად მიმზიდველი პერსპექტივა იშლება: რევოლიუციით მოპოვებული ობოლი მარგალიტი—თავისუფალი ეროვნული სკოლა უკვე ფაქტია; სოფლის მასწავლებლის დიდი ხნის სულის სწრაფვა—სკოლის ნაციონალიზაცია განხორციელების სფეროში გადადის; ის სულთამხუთავი, რომელიც თავის ცირკულიარებით სულს ალევდა სკოლას, ჰბორკავდა მასწავლებელს, ფრთებს აჭრიდა მის თავისუფალ ინიციატივას და სულ იმის ცდაში იყო, რომ სულიერათ და ხორციელათ სალი მოქალაქეების ნაცვლად სკოლას ეწრთვნა ტახტისა და სამშობლოსათვის უნიადაგო, უიდეო, უპრინციპო, საკუთარ ნებისყოფას მოკლებული ტიკინები, სამუდამოთ ისტორიას ჩაბარდა და მასწავლებლის შემოქმედებითმა ნიჭმა ფართო გამოსავალი იპოვა. ეხლა საჭიროა დადებითი მუშაობა ახალი შენობის ასაგებათ, მაგრამ საქმე იმაშია, შეგვანარჩუნა თუ არა ხანგრძლივმა ოპეკამ თვითმოქმედების უნარი? გამოვიჩენთ თუ არა შემოქმედებითი ნიჭს? ვართ თუ არა მომზადებული ახალი სკოლის გასაძღოლათ? ამაზე მე იმით გიპასუხებთ, რომ სახარების სიბრძნის წინაღმდეგ ჩვენ ახალი ღვინის ჩასხმა ისევ ძველს ტიკში გვიხდება, მეტი გამოსავალი არ არის. რამოდენიმე ათასი მასწავლებლის აკრეფა ახალი შკოლისთვის ქუჩაში ხომ არ შეიძლება. ნამსახური მასწავლებლები დიდი გამოცდილებით დიდი დაკვირვებით არიან აღჭურვილი; ცოდნასაც თანდათანობით შეივსებენ, თუ სურვილი იქნება, საჭიროა მხოლოდ გულგატეხილობის, სულით დავარდნილობის დაძლევა. ოპტიმისტობაში ნუ ჩამომართმევთ და მე პირიქით ვფიქრობ, რომ ნამსახურმა მასწავლებლებმა თუ საკმაო მხნეობა გამოიჩინეს, არა თუ შესძლებენ თავის დანიშნულების სიმაღლეზე დგომას, არამედ სასწაულს ჩაიდენენ, წლობით სავლელ გზას თვეობით გაივლიან, რადგან მათ შემოქმედებით უნარს ბორკილები შეეხსნა, მათ სულსა და გულს მოშორდა ის მაჯლაჯუნა, რომელიც დარაჯობდა სკოლას, რათა უკანასკნელს არც ერთი მაცოცხლებელი სხივი არ მიჰკარებოდა. ეხლა საჭიროა მხოლოდ გაორკეცებული მხნეობა და სამკალიც ბლომად არის: დაუყონებლივ უნდა მოეწყოს სოფლად პატარ პატარა კრებები გაკვეთილების ნუსხის და მომავალი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლათ; უნდა გადათვალიერდეს და გაირჩეს უკვე გამოცემული ახალი ქართული სახელმძღვანელოები და მიღებულ იქმნეს ზომები ამ მხრივ ნაკლის შესავსებათ; უნდა გავეცნოთ პროგრამებს, საზოგადო განათლების და პროფესიონალური სკოლების ახალ ტიპებს, რისთვისაც ამგვარ კრებებზე უნდა იქმნენ მოწვეულნი საგნის მცოდნე სპეციალისტები, რომელთაც იქნებ საზღვარ გარეთაც ჰქონდეთ მიღებული განათლება და რომლებიც თავის უანგარო შრომით დაეხმარებიან მასწავლებლებს ამ მძიმე საქმეში; უნდა გავეცნოთ ტერმინოლოგიას და საერთოდ მთელ შინაარსს იმ ცნებისას, რასაც სკოლის ნაციონალიზაციას ვეძახით. არასოდეს კურსები ისე საჭირო არ ყოფილა მასწავლებლისთვის, როგორც დღეს, მაგრამ ამგვარი კურსები დიდ ნივთიერ საშვალებას მოითხოვს და ჩვენს მთავრობას, რომელსაც შიგნიდან და გარედან თავს ესხმიან და რომლის მთელი ენერგია შინაური ანარქიის ჩასაქრობათ არის მიმართული, არ აქვს დღეს საიმისო სახსარი, ამიტომ სახალხო მასწავლებლები თითონ უნდა გაერკვენ მეტათ რთულ სკოლის ნაციონალიზაციის საკითხში. თუ გვინდა, რომ ის უქმ სიტყვად არ დარჩეს და არ დაემყაროს ამ შემთხვევაში სამინისტროს ყოვლად შემძლებლობაზე.

კი მაგრამ ამ საერთო არევ დარევის დროს, რომელსაც ზედ ერთვის საზღაპრო სიძვირე და შიმშილობა, სად შეუძლია ნახევრათ ტიტველს და მთლად მშიერ სოფლის მასწავლებელს დადებითი მუშაობაზე ფიქრიო,—მეტყვიან მე. მართალია, ძნელია ამ პირობებში გულდადებით მუშაობა, მაგრამ ისიც მართალია, რომ აგერ მთელი ოთხი წლის განმავლობაში სულ ამ მოტივებით ვამართლებთ ჩვენ თავს, სულზე მივაყენეთ ის უპატრონო სკოლებიც, რომლის პატრონიც დღემდე ვიყავით და ხალხში მუშაობაზეც ხელი ავიღეთ. მოდუნდა სოფლათ კულტურული მუშაობა და უეჭველია ამ გარემოებამ დიდათ შეუწყო ხელი ველური ინსტინქტების გაღვიძებას და იმ ანარქიის ალის გაჩაღებას, რომელშიაც ინთქება დღეს ჩვენი თავისუფლებაც და ჩვენი ფიზიკური არსებობაც. თქვენი რა მოგახსენოთ და მე რომ ჩვენ ქართულ ვანდეას წარმოვიდგენ, როცა მომაგონდება, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით ნაყიდ თავისუფლებას დღეს ჩვენი სოფელი ცხიმის თავს და დასამარებას უპირებს, როცა გადავეყრები ამ ბნელეთის შვილებს, რომლებმაც სახლში საშინელი ჯოჯოხეთი დაგვითესეს, თმა ყალყზე მიდგება და გულზე მკბენს რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი". დიახ, ვშიშობ, დიდათ ვშიშობ, რომ ჩვენმა უმოქმედობამ არ დაიდოს წილი შინაურ ანარქიაში.

სოფლის მასწავლებელი მაძღარი არასოდეს არ ყოფილა; მისი გზაც წინეთ უფრო ეკლიანი იყო. მას ხელს უშლიდა ბოქაული, ხელს უშლიდა რევიზორი, ხელს უშლიდა თვით სოფლის სიბნელე. თანაგრძნობას მოკლებული, სულით ობოლი მიდიოდა ის ამ ეკლიან გზაზე და ცალი ხელით რომ კეთილ თესლს აბნევდა, მეორეთი ნარის გლეჯა უხდებოდა, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა. ის თავის საქმეს ისე უყურებდა, როგორც მსხვერპლს ერის საკეთილდღეოთ შეწირულს, მის მუშაობას სოფლად იდეიური ხასიათი ჰქონდა და ნაყოფსაც ტკბილს იძლეოდა. რევოლიუციამ გასწმინდა გზა ნარეკლისგან და იმ ხელის შემშლელ მცურავებისგან; სოფლის უმეტესობის სიმპატიაც დღეს მასწავლებელს ელოლიავება, ის მარტო აღარ არის, მას მხარში უდგას სოფლის ინტელიგენცია და ჯვარის ზიდვას უადვილებს, ერთი სიტყვით მასწავლებლისთვის სოფლად დაქნილია მადლის გზა, მხოლოდ ხელის განძრევა არის საჭირო, თავისუფალი ინიციატივის გამოჩენა.

და შენც, ღირსეული წინაპრის და უძვირფასესი მარგალიტის მემკვიდრევ, სოფლის მასწავლებელო, ნუ დაუშვებ დაბლა იმ შენი წინაპრის დროშას, ნუ უღალატებ სახალხო მასწავლებლის ტრადიციას! ერთხელ კიდევ შეიმშუშნე მძიმე ჯვარით დაშავებული მხრები, დაიმშურე სოფლად კულტურული მუშაობის გაჩაღებას და მით მხარი დაუჭირე მთავრობას, როგორც ანარქიასთან ბრძოლაში, ისე სააღმშენებლო მუშაობაში, ნუ დაივიწყებ, რომ უდიდესი აქტის წინაშე დგეხარ, რაც შენგან გაორკეცებულ მხნეობას და ენერგიას მოითხოვს. ზეგვაქვდინ გულნი! ყური მიაპყარ! უკვე ისმის იმ ახლშობილის ტირილი, რომელიც ძიძას, მომვლელს დაეძებს და ვინ უნდა იკისროს ეს ძიძაობა, თუ არ შენ მისმა მოჭირნახულემ? თავი აარიდე გულგატეხილობას! წრფელი გულით და განახლებული სულით კრძალვით მიუახლოვდი თავისუფალი შკოლის კედლებს, ამ ჩვენი მომავალი სულიერად და ხორციელად სალი მოქალაქეების აღსაზრდელ აკვანს და მეტი მხნეობით, მეტი ოსტატობით და ცოდნით დაარწიე იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. ვიმეორებ, დაყოვნება არ ვარგა: თავისუფალი შკოლა რევოლიუციის შვილია და რევოლიუციის ტალღებში უნდა მიიღოს მან ნათლისღება, მისი წმინდა წყლით განიბანოს უნდა ძველი ცოდვები. ეს იქნება შენი მხრით პოზიციის გამაგრება, ამაში უნდა გამოიხატოს შენი შემოქმედებითი უნარი.

შუბნელი.

## ამ.-კავკ. ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციებს

ამხანაგებო!

დიდი ცდის შემდეგ ჩვენ შევძელით ჯარის ნაწილებში გაფანტულ ჩვენ ამხანაგებისათვის თავი მოგვეყარა და გვემსჯელა ჩვენი ორგანიზაციის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ. ამ კრებაზე ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა მიმართოს ადგილობრივ ორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც განმარტებული იქნება ცენტრალური კომიტეტის და ორგანოს ეხლანდელი მდგომარეობა

ამხანაგებს მოეხსენება: პირობები იმდენათ ხელის შემშლელი შეიქნა, რომ ნორმალური და მწყობრი ორგანიზაციული მუშაობა შეუძლებელი გახდა და ცენტრსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის საჭირო კავშირი და ურთიერთობა დაირღვა.

პირველ ყოვლისა შეუძლებელი გახდა ცენტრალურ ორგანოს—„ახალი კვალი"-ს გამოცემის გაგრძელება. ისე მოულოდნელათ მოხდა ჟურნალის დახურვა და ჩვენი აქეთ-იქით დაქსაქსვა, რომ აქამდის ვერ შევძელით პრესის საშუალებით გაგვეცნო ადგილობრივ ამხანაგებისათვის მიზეზი ორგანოს დახურვისა და მისი ფინანსიური მხარე. ამავე მიზეზების გამო ცენტრალურ კომიტეტის მოქმედება ძლიერ შეფერხდა.

სამწუხაროთ, მდგომარეობა ჯერ კიდევ იმდენათ რთულია, რომ ამ ზაფხულში ნორმალურ მუშაობის აღდგენა ცენტრალურ კომიტეტს მეტად ძნელათ მიაჩნია. მაგრამ, მიუხედავათ ამ სიძნელისა, მთელი ჩვენი ენერგია იქით უნდა იქნეს მიმართული, რათა ჩვენი ნორჩი ორგანიზაცია არ ჩაკვდეს. ამისთვის მოგიწოდებთ ყველა ამხანაგებს, ვისაც კი აქტიური მუშაობა შეუძლია, არ ჩამოშორდეთ მის გამაგრებას.

ცენტრალურ კომიტეტს შეუძლებლათ მიაჩნია ამ ზაფხულს ორგანოს გამოცემის განახლება; მისი გამოცემა უეჭველათ შემოდგომისთვის უნდა იქნეს გადადებული.

მაგრამ ცენტრალური კომიტეტი საჭიროთ სცნობს ეხლავე აცნობოს მოკლეთ ადგილობრივ ორგანიზაციებს ორგანოს მატერიალური მდგომარეობა (ამ ანგარიშის შედგენას დაესწრო საკონტროლო კომისიის წევრნიც).

ორგანოს ამ ჟამათ ნაღდი ფული აქვს 194 მან., გარდა ამისა ასლები აქვს 184 მან. ამ ასლებ თანხაში არ შედის პროვინციის ორგანიზაციებზე და თფილისელ ამხანაგებზე დარჩენილი ჟურნალის ფული. ჟურნალს ამას გარდა აქვს 10 ოხმა ქაღალდი. ვალი ჟურნალისა შეადგენს 1266 მ. რედაქციას მოეპოვება აგრეთვე რამდენიმე ცალი ყოველ ნომრისა. ასე რომ, შემოდგომაზე ჟურნალის გამოცემის განახლება არ იქნება ძნელი; მით უფრო, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებზე ფული საკმაოთ არის დარჩენილი; მათ ამ მოკლე ხანში ეცნობებათ მათი ვალის რაოდენობა და უნდა შეეცადონ რაც შეიძლება ჩქარა გადაიხადონ.

ამ წერილით მოგმართავს თქვენ, ამხანაგებო, ცენტ. კომიტეტი იმედია ენერგიით მოეკიდებით საქმეს და თვით ცენტრალური კომიტეტიც შეეცდება გადალახოს ყველა დაბრკოლება და ხელმძღვანელობა გაუწიოს თქვენ ეხლანდელ მუშაობას. *)

**ცენტრალური კომიტეტი ამიერ კავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისა.**

## სახალხო გვარდიას

ჩვენ წითელ გვარდიას
მივუძღვნი ვარდ, იას...
და ჩემ გულს სევდიანს,
სამწუხრით დარდიანს
მით არ მივსცემ ზიანს,
დროს ვარგუნებ მზიანს...

ხალხის შვილებს, ცდილებს
ბრძოლაში გაწვრთნილებს,
ვუძღვნი ჩანგის სიმებს,
ვუგალობებ ჰიმნებს...
მათ წინ ქედს ვახრიებ
ზურმუხტოვან მთიებს,
გზაზე გაუფანტავ
სამყურა და იებს..

დიდება ვინც მოკვდა,
ტყვია მკერდში მოხვდა,—
ბრძოლის ველზე ჰპოვა
ბინა, ალსასრული,..
ობლები რომ დარჩენ,
იმათ რაღა ვუყოთ?!
მო, პური გაუყოთ,
ტანჯვით ნუ დავარჩენთ;
რომ გაიზრდებიან,—
სახალხო გვარდიელს
გვერდს დ უდგებიან,
რაზმს შექმნიან ძლიერს;
და საერთო ძალით,
წინ სვლა მაღ ი მალით,
აღთქმულ მხარეს ვნახავთ,
გულში შევინახავთ.
სახალხო გვარდიას
გაუმარჯოს დიადს,
წინ სვლა მამაცობით
გვიქარვებს ხვაშიადს...
მტარვალს მაღლა-მაღლად
სდიოს კვალი კვალად,
და მაშვრალი ხალხის
იყოს მხნედ და ფარად.

ჩვენ წითელ გვარდიას
მივუძღვნი ვარდ, იას,
დრო ნათელ და მზიანს.
მსურს ასცილებოდეს
გულის ტკივილს, ზიანს...
წითელ დროშას პყრობდეს,
ეტრფოდეს განთიადს.
და ხალხის დიდების
მიზეზი დარჩეს ის!

დ. მეჩონგურე.

## გორის ნაძირალებს არ სძინავთ

ექვსი თვე გადის მას შემდეგ, რაც გორში წესრიგი დამყარდა და ის საფრთხე, რომელსაც გვიმზადებდნენ ნაძირალები, აღმოიფხვრა.

ცხინვალის ამბების შემდეგ, ეტყობა გლეხებს შეეგნიათ რომ „ათჯერ გაზომვა და ერთხელ მოჭრა სჯობია".

ჯერ ჯერობით წესრიგი არ დარღვეულა არც გორის მაზრაში და არც თითონ გორში, ხოლო აღსანიშნავია ის ხულიგანური გამოსვლა, რომელიც 15 ივლისს ქ. გორის ქუჩებში მოხდა, აგერ თერთმეტი თვე გადის. რაც გორის თვითმართველობა შედარებით დიდ ფასებში პურს ყიდულობდა და აწვდიდა მცხოვრებლებს მხოლოდ 60 კაპ. გირვანქას, ე. ი. ფუთს 24 მან. მაშინ, როდესაც ეხლა პურის ფასი საზღაპროდ აიწია და თითქმის 120—140 მან. ადის ფუთის ღირებულება. პურის ასეთმა სიძვირემ ერთის მხრით და ფულის უქონლობამ მეორეს მხრით შექმნა ისეთი აუტანელი პირობები, რომ ქალაქის გამგეობა იძულებული შეიქნა უკანასკნელი ზომები ეხმარა, რაც გამოხატა მთავრობისათვის სესხის მოთხოვნაში. ამისთვის საჭირო შეიქნა მოწვეულიყო სასწრაფო კრებები ქალაქის საბჭოსი. საჭიროთ იცნეს პურის ფასი გაედიდებიათ 1 მ. 50 კაპ. გირვანქა.

თვით მცხოვრებლებს წარმომადგენლებიც ესწრებოდენ კრებას, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საგანზე, მაგრამ აზრის მაგივრათ ჩვენ მოვისმინეთ მხოლოდ კატეგორიული მათი განცხადება, რომ ქალაქმა პური როგორც არ უნდა ფასობდეს ის, 60 კაპ. გირვანქა მოგვაწოდოსო და ამას ამბობდა ისეთი ხალხი, რომელთაც არაფერი თავსამტეხი არა ჰქონდათ, იმდენად უზრუნველყოფილნი არიან. 15 ივლისს დილით ღარიბ მცხოვრებთა რეგისტრაცია დამთავრდა, მათთვის პური იაფათ უნდა დაეთმოს და პურის ფასი გირ. 1 მ. 50 კ. გამოცხადდა.

ნაძირალები და ყველი ჯურის სპეკულიანტები ერთად მოგროვდენ და მორთეს ზარების რეკა დილის 4 საათზე, რამაც მცხოვრებლებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი ქუჩა რამოდენიმე ხანში აივსო ვაჭარ-ჩარჩებით, ყოფილი ბოლშევიკების სახით დარჩენილ ნაძირლებით და მორთეს ღრიალი, რომ ქალაქის გამგეობაში მომუშავეები ჯიბეს ისქელებენ. მათ სურთ ხალხი სიმშილით ამოხოცონო და ათასი სხვა...

ბრბომ ჯერ ქალაქის გამგეობას მიაშურა და უნდოდა მისი დარბევა. სცადეს სხვადასხვა ორგანიზაციების დაწიოკება, მაგალ. სამაზრო კომისარიატის სახალ. გვ. შტაბის, მუშათა საბჭოსი და სხვა...

მაგრამ რაღაც მოსაზრებამ ისინი შეაჩერა და ეს არ ჩაიდინეს. ადგილობრივ ორგანიზაციის წევრები ფეხზე დადგნენ უმალვე და დაიწყეს მუშაობა ქუჩებში, რომ იქ პროვოკატორები გამოერჩიათ. გაიმართა სასწრაფო კრება ქალაქის საბჭოსი და ყველა ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით. იყო აგრეთვე თვით ბრბოს წარმომადგენლებიც, ე. ი. ქუჩა გაივსო არა მართლა იმ დემოკრატიულ ნაწილით, რომელსაც პურის საკითხი აწუხებდა, არამედ—ნაძირალებით. წამოყენებულ იქნა იმათი მხრით შემდეგი საკითხები: 1) პურის საკითხი, 2) სასურსათო კომიტეტების და კოოპერატივების შესახებ, 3) ვაჭრობის თავისუფლება, 4) სახაზინო შენობის გამოყენება და განთავისუფლება კერძო შენობებისა ქირისაგან, 5) წითელ გვარდიისთვის შეგროვილი ფულის ანგარიში, 6) ანგარიში სოფლებზე გაყიდულ საქონლისა (ტანისამოსისა), რომელიც ხაზინას ეკუთვნოდა, 7) ადგილობრივ დაწესებულებაში მოხელეთა შესახებ, 8) შემოხიზნულების მდგომარეობა, 9) პურზე ბარათები, 10) დაარსება სახალხო საკონტროლო კომისიისა, 11) კონფისკაცია გადამალულ სურსათისა. ტანისამოსისა და სხ, 12) საკითხი ნავთზე და შაქარზე. ამ კითხვებს შორის იყო დასმული საკითხი გორიდან დათხოვნისა—გურულ-მეგრელ-იმერლებისა.

ეს უკანასკნელი საკითხი უხერხულათ სცნეს და მოხსნეს დღიურ წესრიგიდან. ქუჩაში წარა-მარა გესმოდათ ყვირილი „მიკიტნები"-საგან, რომ: „იმერლები აქ რას მოითრევიან, წავიდნენ აქედან და შინ იმუშავონ". „იქ სიმშილით იხოცებიან და აქ რა უნდათ მათ—დეე თავიანთ ხალხს დაეხმარონო". კრებამ ერთხმად მიიღო სოც.-დემ. ფრაქციის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომ დღეს დარჩეს პურზე 60 კაპ. გირვანქა. ეს გადაწყვეტილება აცნობეს იქ შეკრებილებს, მაგრამ მათ ეს არ მოეწონათ და ხმამაღლა განაცხადეს: „ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს, ჩვენ „ობისკებს" მოვითხოვთო". ხალხი, ვისაც აინტერესებდა მართლა პურის საქმე უმალ დაიშალა და წავიდნენ ფურნეებისკენ, ხოლო „ვაჭარ - სპეკულიანტ - მიკიტან - ლოთების". კომპანია არ დაიშალა. ძალისხმარება მათ დასაშლელათ არ მიიღეს ამხანაგების უპრავლესობამ და ჩაერივნენ შიგ, რომ პროვოკატორები ემხილებიათ და ხალხისათვის დაემტკიცებიათ მათი სიყალბე. მართლაც, ეს დასახული მიზანი სისრულეში მოყვანილ იქნა და რამდენიმე საათის შემდეგ ხალხიც დაიშალა. მთელი დღე დუქნები დაკეტილი იყო და მალულათ, სადღაც სარდაფებში კრებებს მართავდნენ და იმუშავებდნენ საღამოს კრებაზე რეზოლიუციებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამათ წრეში არა ნაკლებ როლს თამაშობდნენ სომხის ნაციონალისტები დაშნაკელების სახით და ასე ამ რიგათ, იერიში უნდოდათ მოეტანათ რევოლ. ორგანიზაციებზე. საღამოს კრებაზე კამათი გაგრძელდა და ჩვენმა ფრაქციამ დაახლოვებით ასეთი აზრი გამოსთქვა, რომ გამოსვლა იყო არა პურის ნიადაგზე, არამედ — ხელოვნურათ მოწყობილი უკმაყოფილო ელემენტების მიერ და მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული, ხოლო რაც შეეხება პურის საკითხს, ქლ. თვითმართველობამ იკისროს მხოლოდ ღარიბი ნაწილისათვის სურსათის შეძენა. თანახმათ რეგისტრაციისა. დაწესდეს თავისუფალი ვაჭრობა პურზე. მოისპოს რიგები, ნაცვლათ ამისა მოეწყოს უბნის კომიტეტები და მათ დაურიგონ პური ღარიბ ნაწილს გირ. 1 მან.

ამ განცხადებამ ცუდათ იმოქმედა „ამორჩეულებზე", რომ მხოლოდ ღარიბებს ურიგდებათ პური და არა მთელს მცხოვრებლებს, მაგრამ როდესაც მიუთითეს მათ თავიანთ დანიშნულებაზე „შერცხვენ" და მოჰყვენ აზდა უბდას. აგრეთვე განაცხადეს, რომ კომისარიატი სამაზრო, ქალაქის თვითმართველობა, სამაზრო სახალხო გვარ. შტაბი და სხვა ორგანიზაციები რათ არიან კერძო შენობებში, დეე გადავიდნენ „ყაზარმებში" იქ მოთავსდენ, ხოლო რაც აქ ფულები იხარჯება, ის სხვა საქმეს მოახმარდესო, მაგრამ როდესაც უჩვენეს მათ ამის მოუხერხებლობა, [illegible]—ასე ამ რიგათ ყველა კითხვებზე [illegible] ლეს სათანადო [illegible] აშკარა შეიქნა, რომ სტყუოდენ, ერთმა მათგანმა სახელდობრ თავზარაშვილმა მითხრა, რომ მართლა „არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ჩვენ გვეგონა და არაფერს ვიტყვი აწი, მხოლოდ ვწუხვარ, რომ ასეთი შეცდომები ჩავიდინე"-თო.

სოხო.

## ერთი კვირა დუშეთის მაზრაში

(გაგრძელება).

**8 ივლისი.** ახლა სამუშაო დღეა. სოფლელნი მინდვრად არიან გასულნი.. საღამოსთვის დავნიშნეთ სოფელ ჭოპორტის მცხოვრებთა ყრილობა.

შებინდებისას ეკლესიის ეზოში შემოიყარა თავი გლეხობამ. ახალგაზდობა სჭარბობდა. ქალებიც ბლომათ ერივნენ.

მთვარემ ამოიხედა მთის მწვერვალიდან და კრებაც გაიხსნა.. ჭოპორტელები უფრო მალე გაეხმაურნენ მეამბოხეებს და ამიტომ ჩვენს სიტყვებში დიდი საყვედური გამოსჭვიოდა.

ორატორების ლაპარაკი ზარის რეკასავით ეფინებოდა ძირს არაგვის პირას გადაფენილ გაყუჩებულ ველ-მინდვრებს.

მთები სმენად გადაქცეულიყვნენ და ისმენდენ ახალთ-ახალს სიტყვას.

ბევრი ამბის მოწამეა არაგვის ხეობა, მაგრამ ასეთი არა ახლოვს რა...

მათ ესმოდათ საქართველოს დემოკრატიულ, დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობის მოქმედების ანგარიში... ესმოდათ კიდევ სხვა საამო ამბები და სწუხდნენ, რომ მათი მკვიდრი ჭოპორტელი გლეხობა მოტყუებული იყო გაიძვერებისგან და აემხედრებინათ რესპუბლიკურ მთავრობის წინააღმდეგ...

გლეხებიც უსმენდენ ორატორებს და რწმუნდებოდენ თუ რა საშინელი გაუგებრობა მოხდა.

— გრძნობა, გონება მოგვიწამლეს, ეხლა ვრწმუნდებითო,—სჩიოდნენ გლეხები—გვეუბნებოდნენ მოდის თავად-აზნაურობა და სულ თავებსა სჭრის ვისაც შეხვდებაო.

ისინივე გვეუბნებოდენ: შარშან მოხდა პირველი კლასის რევოლიუცია, ახლა ვახდენთ მეორე კლასის რევოლიუციას; ვინც ჩვენ არ მოგვდევს ის მტერია სოციალიზმისა და ეხლავე დუხვერეტთო...

რაღა გზა გვქონდა რომ არ გავყოლოდით.

— მიწასა ვხნავდით—დაიწყო მეორე გლეხმა—როდესაც ბოლშევიკები ჩვენს სოფელს ეწვივნენ. მომცვივდნენ და მითხრეს. დაანებე თავი რა დროს ხვნაა წამო შევებრძოლოთ შავრაზმელებს და იმდენს თეთრს პურს, მოგიტანთ რუსეთიდან—მთელს წლიწადს გეყოთო.

ზოგი თქვენი ბრალიც არისო—გვისაყვედურეს გლეხებმა. ღვთის ანაბარა ვიყავით მიტოვებულნი და ჩვენისთანა გაუნათლებელი კაცი ყველაფერს მალე იჯერებს. კიდევ კარგია, რომ მთავრობამ აეროპლანებით ფურცლები ჩამოგვიყარა—აგვიხსნა ნამდვილი მდგომარეობა საქმისა და იმითი დაგვამშვიდა.

ახლა მთავრობას გადაეცით, რომ ამიერიდან აღარ შემოუშვებთ მაწანწალა პროვოკატორებს სოფლებში და მთავრობასაც ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენთ.

ოღონდ ნუ დაგვივიწყებს და ხშირად გვიგზავნოს თქვენისთანა ხალხი ჩვენს ჩასაგონებლადო.

შუა ღამე იყო გადასული, რომ კრება დაიხურა და ხალხი დაიშალა.

**9 მკათათვე.**

სოფელ ჭოპორტიდან გავემართეთ ქ დუშეთისკენ... არაგვის გაღმა მხარე ნამდვილი ბრძოლის ფრონტი ყოფილა.

მრავალ ვაების მოწმე ციხენი აჯანყებულებს სათარეშად გადაუქცევიათ გზადაგზა ვხდებოდით საფლავებს... აი ერთი გზის პირისაა დამარხული.. იგი მეამბოხეთაგანისა უნდა იყოს.

დავყურებდი მას და გული მიკვნესოდა: რად, რისთვის იბრძოდა, ან რად მიილტვოდა საქართველოს სატახტო ქალაქისკენ ასე თავ გადაკლულით? რა უნდოდა? გაგონილა ასეთი უბედურება? ხალხმა მიაღწიოს მას, რასაც შეეწირა აურაცხელი ხალხი, აისრულოს ყოველივე წადილი, სახელსწიფოს მართვა მიანდოს საუკეთესო შვილებს და ზოგი ბნელი კუთხე მაინც ამხედრდეს, შესამუსრავად ეკვეთოს თავისუფლების ტახტსა..

რა არის, რითი უნდა აიხსნას ესა, თუ არა ხალხის შეუგნებლობით... იმ საშინელი შეუგნებლობით, რომელიც გამოიყურება ყველა დუშეთელ გლეხის თვალებიდან..

და ამ სამარეში განისვენებს არა შეგნებული მტერი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა,—არა, ასეთმა მტრებმა თავს უშველეს, ისინი ახლა კუდ-ამოძუებული მირბიან დარიალის ხეობისაკენ—აქ განისვენებს შეუგნებლობა.. ქართველი გლეხის სიბნელე.. ნეტამც გამოლეულ იყოს იგი... ნეტამც

---

*) ყოველგვარი ცნობებს მიღება შეიძლება შემდეგი მისამართით: თფილისი ქართული გიმნაზია, ბიძინა რამაშვილთან.

უკანასკნელი სამარე ჰქონდეს მას საქართველოში.

10 ივლისი, დილით.

შემოვედით დუშეთში თუ არა, მაშინვე მივმართეთ სამაზრო კომისარიატს.

აჯანყებულებს დუშეთი ძალიან დაუშავებიათ. მრავალი დაწესებულებანი გაუძარცვავთ. წაუსხავთ თან საქონელი, ცხენები, გაუტანიათ სურსათი, პრიპორშიკების ეკლესია გაუქურდავთ.

ქალაქისთვის კონტრიბუცია გაუწერიათ.

ერთს დატყვევებულს მეამბოხეს აღმოჩენია სია 47 დუშეთელ ქართველისა, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონია სიკვდილით სასჯელი.

კომისარს სოფლების მოსაწყობად და რაიონების კომისარიატის აღსადგენად ჯერ არავითარი ზომა არ მიუღია.

— „სანამ გვარდია მთლად არ გასწმენდს რაიონს, შეუძლებელია გამოღმა მხრის სოფლებში შესვლა, შიშით მილიციონერსაც ვერ გავგზავნით. ჩემი რჩევაა დაბრუნდეთ უკან და თავი გადაირჩინოთ სოფლელებისგან სიკვდილსა“.

ჩვენ ასეთი აზრი არ გვეპრიანა. სოფელს სწორედ ამისთანა პირობებში უნდა მიხედვა და თვით კომისარი ძალიან აშავებს, რომ არა სცდილობს მაზრაში შესვლას და კეთილ განწყობილების შექმნას.

ჩვენ გადავსწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა გვენახნა მეამბოხეთა ბუდე სოფლები.

---

საღამოს მოვიწვიეთ დუშეთის მოქალაქეთა ყრილობა; უსაყვედურეთ, რომ თუ ბნელმა სოფლებმა არა იცოდა რა, თქვენ ხომ იცოდით, რომ საქართველოს მთავრობას არ უღალატნია დემოკრატიისთვის, რატომ არ შეებრძოლეთ მათს პროვოკაციას.

მოუწოდეთ განეახლებინათ ქალაქის თვითმართველობა, რომელიც აღარა ჰმუშაობს, დახმარებოდნენ მაზრის კომისარს ქალაქის დაცვაში და დაუბრუნდნენ მშვიდობიან მუშაობას.

10 ივლისი. საღამოთი.

— სად მიხვალთ, ხალხო, სადა? ხომ არ გადარეულხართ? სოფლების ახალგაზრდობა ტყეშია ფირალებად გაცვივნული, დაგხოცავენ უსიკვდილოდ—დაბრუნდით თბილისს—გვეუბნებოდნენ კომისარი და სხვანი—ჩვენ ყური არ გვითხოვებია და გავსწიეთ სოფ. ბაზალეთისკენ.

ყველა გამვლელ-გამომვლელი, რომელთაც კი ვხვდებოდით გზაში, სჩიოდა ბედსა...

— განსი აღარ არის, ძმაო, განსი. მოგვისპო ამ ტიალ არეულობამ. ყველა ჩვენ გვატყუებს და გვიჩათინებს.. ნუ კი გეწყინებათ თქვენ გენაცვალე და თავი არ მომიკვდება მართალს გეუბნებით. არ ვიცით ვის დავუჯეროთ. ისინიც ასე მოვიდნენ და გვეუბნებოდნენ: მხოლოდ ჩვენა ვართ გლეხების ინტერესების დამცველნიო.

მეორე გლეხი მეუბნება:

— რა ვქნათ, ძმაო. შვილო... სამუშაოდ ველარ გავსულვართ, გვაშინებენ, გვარდიელები დაგხოცავენო... ჰაი, ჰაი, რომ გვინდა დაწყნარდეს ყველაფერი... სამართალი არაა მოწესრიგებული და სოფლის მართველობა.

---

მივუახლოვდით სოფელ ბაზალეთს. მარჯვნივ გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის საყვარელი და საოცნებო ბაზალეთის მშვენიერი ტბა. მაგონდება მისი ლექსი.

---

სოფ. ბაზალეთს აქვს მშვენივრად მოწყობილი კოოპერატიული დუქანი, საეროო სასწავლებელი, სადაც შალსა და სხვა ფართლეულობის ქსოვას ასწავლიან სოფლელ ქალებს. მათ ძალიან მოსწონთ ეს საქმე; სულ იმის ცდაში არიან მასალა იშოვნონ და მუშაობა გააჩაღონ.

აქვეა ერთ კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ სარგებლობა თითქმის სულ არა ჰქონია. მასწავლებელი უხალისოდ მოჰკიდებია საქმეს. დღეში ერთი საათი რომ ესწავლებინა ბავშვებისათვის—ისიც დიდი ბეჯაათი ყოფილა.

ამოდენა სოფლები ჩამოვიარეთ და მხოლოდ ბაზალეთში შევხვდი სამკითხველოს, რომელიც გულმოდგინეთ დავათვალიერე.

ბაზალეთის სოფლის ყრილობას ბლომად დაესწრო ხალხი. ავუხსენით, რომ მათ ტყუილად აშინებენ. მთავრობა მათ არას ავნებს...

ბაზალეთლებმაც ისა სთქვეს „ბალშევიკებზე“ რაც სხვა სოფლებმა.

კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„10 ივლისს 1918 წ. სოფ. ბაზალეთის მცხოვრებთა ყრილობამ მოისმინა რა, ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლების მოხსენება და იქონია რა მჯელობა იმაზე, თუ პროვოკატორების მიერ დუშეთის მაზრაში მოწყობილ არეულობით რა საფრთხეშია ჩავარდნილი საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობა და თავისუფლება, მიიღო რა მხედველობაში აგრეთვე ისიც, რომ გლეხთა უცოდინარობით სარგებლობდენ ისინი, ვისაც ყელში ფხასავით გაჩრებია საქართველოს თავისუფლება და სცდილობდენ ათასი ჭორები გაევრცელებინათ დემოკრატიულ მთავრობის აზრის გამტეხ, გაითვალისწინა რა ყველაფერი ეს საერთო ყრილობამ დაადგინა:

პირველი: მიიღონ ყოველი ზომები, რომ ბაზალეთის არე-მარეში არ გააჭაჭანონ ყველა ის ნაჩაფრალი, ნაგარადოვალი, ნამამასახლისარი და ათასი შმოთრეულნი, რომელნიც ხალხს აქეზებენ მთავრობის წინააღმდეგ, რათა დროებით ისარგებლონ, სძარცონ და აფარფაშონ დაბა-სოფლებში.

მეორე. სალამი გაეგზავნოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, დაევალოს მას: დააჩქარონ მიწების სამართლიანათ განაწილება მშრომელთა შორის, მოაწესრიგოს სასოფლო სამართალი; და მჭიდრო კავშირი შექმნას დუშეთელ გლეხებთან და ყოველგვარი ცნობები გვაწოდოს ხოლმე მთავრობის ცხოვრებიდან.

---

ბაზალეთიდან რომ დუშეთში ამოვბრუნდი კომისარიატში გადავათვალიერე მრავალი ქაღალდები, რომელიც მეამბოხეთ დარჩენოდათ და სხვათა შორის ვნახე ზოგიერთი მოწოდება ფურცლები.

ერთი ფურცელი აუწყებს საზოგადოებას, რომ „კონტრ რევოლიუციური მთავრობა მენშევიკებისა დუშეთში დაეცა დუშეთის მაზრის გლეხთა ნებით“. მცხოვრებთ მოუწოდებენ დაემორჩილნენ გლეხთა დეპუტატების ძალა-უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა დასჯილ იქნება რევოლიუციონური კანონის ძალით.

პირველ ივლისს გამოშვებულია ბრძანება № 7 პირველ წითელ საარმიო რაზმის უფროსის აბაევისა, რომელიც მოუწოდებს ხალხს ყველა პროვოკატორები და მძარცველები წარუდგინონ შტაბს დასახვრეტათ.

ყველა ფურცლებს აღემატება თავისი უტიფრობით ბრძანება № 1. მოგვყავს ის სიტყვა-სიტყვით, ქართულად.

„გლეხთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტისაგან. დუშეთის მაზრა. 1 ივლისი 1918 წელი. ქალ. დუშეთი. ყველა, სამხედრო და სოფლის კომისრებს, წითელი არმიის ყველა ნაწილებს, ყველა მოქალაქე და ამხანაგებს.

გლეხთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტს ცნობა მოსდის, რომ დუშეთის მაზრაში და სოფლებში დაძრწიან საქართველოს კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის აგენტები—ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, აშინებენ მშრომელ გლეხობას და ამაგრებენ თავად-აზნაურებისა და მდიდრების ბატონობას, რომელიც მიმართულია გლეხთა და მუშათა ინტერესების წინააღმდეგ. ამიტომ დუშეთის მაზრის გლ. დეპ. საბ. აღმ. კომ. აცხადებს და წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს დაატუსაღონ ისინი, ვინც ხმებს ავრცელებენ შერიგებასა და გლეხებისაგან იარაღის ჩაბარების შესახებ. ასეთი ხულიგნები უნდა გამოგზავნოთ ქალ. დუშეთის აღ. კომიტეტში სამხედრო-რევოლიუციონური ტრიბუნალის გადასაცემათ.

დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე თ. შუშიაშვილი *).

ვგონებ აქ კომენტარიები მეტია. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გაიძვერა ხაჩატუროვებს და ფედკებს საუკეთესოთ უცვნიათ ამოეჰფარებოდნენ გლეხ თევდორე შუშიაშვილს და მისი სახელით რუსულათ ებაასებიან წერა-კითხვის უცოდინარ გლეხობას.

დ. თურდოსპირელი.

(დასასრული იქნება).

## ქუთაისის აპ-პარში

### მუშა-ქალთა ორგანიზაცია.

ამ ორგანიზაციის მზის სინათლეზე არსებობა იწყება რევოლიუციის პირველ დღიდანვე. მისი მიზანი იყო მუშა-ქალთა შეკავშირება ერთ მთლიან სხეულში და მათში კულტურული მუშაობის გაშლება. პირველი ნაბიჯი ამ ორგანიზაციისა გამოიხატებოდა შემდეგში: ქალაქი დაყვეს რამოდენიმე უბნებათ და იქ მოაწყვეს ამ ორგანიზაციის განყოფილებები, ესე იგი საუბნო კომიტეტები. ამ საუბნო კომიტეტებში თავს იყრიდა იმ უბნის მუშა ქალები და აკეთებდენ დემოკრატიულ საქმეებს. პირველ ხანებში მან შესძლო დემოკრატიული ქალების ერთ სხეულში შეკავშირება. კულტურული მუშაობა ამ ორგანიზაციამ ისე ვერ მოაწყო, როგორც ეს საჭირო იყო. მაგრამ სამაგიეროთ ყოველივე არჩევნებზე, როგორიც იყო საქალაქო და დამფუძნებელი კრების არჩევნები, თავდადებულათ მუშაობდენ. ახდენდენ კრებებს უხსნიდენ არჩევნების ტეხნიკურ და იდეურ მხარეებს. ამ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სოც. დემოკრატიულ კომიტეტთან და მუშათა საბჭოსთან და ამ უკანასკნელ რევოლიუციონურ ორგანოების დაძაბებისთანავე მზათ იყვნენ ეკეთებინათ რევოლიუციონური საქმეები. მუშა ქალთა ორგანიზაციამ მოაწყო გამომცემლობა, გამოუშვეს რამოდენიმე პატარა წიგნაკები და ამით ხელი შეუწყვეს დემოკრატიის გათვითცნობიერების საქმეს. როდესაც ოსმალეთთან ომი დაიწყო ამ ორგანიზაციამ გადასწყვიტა მთელი თავისი ძალღონით დახმარებოდა სამშობლოს შვილებს მტერთან ბრძოლაში. ამ მიზნით მოაწყვეს მოწყალე დებისთვის კურსები, სადაც მიიწვიეს დახელოვნებული ექიმები და ორ-სამ კვირაში საავათმყოფოს უკვე მიაშველეს მოწყალე დები სამუშაოდ. გარდა ამისა, მოაწყვეს აგრეთ წოდებული ინტერპარტიული ქალთა ბიურო, რომელსაც მიზნათ ჰქონდა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა დაჭრილ-დასახიჩრებულთა ოჯახებისთვის. ამრიგათ შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ორგანიზაცია შეძლებისდა გვარათ ხელს უწყობდა ყოველგვარ რევოლიუციის სასარგებლო მუშაობას. ამ ორგანიზაციამ სხვა მუშაობასთან ერთად, ერთი მეტათ სიმპატიური ნაბიჯიც გადადგა. ეს გახლავთ შრომის სკოლის გახსნა.

როგორც გამგეობა მოგვითხრობს თავის მოხსენებაში, ამ სკოლის დაარსება გამოუწვევია საუბნო ქალთა ორგანიზაციების მოთხოვნილებას. ცენტრალურ მუშა-ქალთა ორგანიზაციას გაუწევია რა ანგარიში საუბნო ქალთა ორგანიზაციების მოთხოვნილებისათვის, შეძლებისათანავე კიდეც დაუარსებია ხსენებული სკოლა. ამ სკოლის მიზანი შემდეგი არის: მიაწოდოს მუშა-ქალებს ოთხი კლასის ცოდნა. აგრეთვე ასწავლიან ყოველგვარ ხელ-საქმეს. მოწვეული ჰყავთ შესაფერისად მომზადებული ხელმძღვანელები და მეცადინეობაც კარგათ მიმდინარეობს. ანორმალურ პირობებში ძნელი იყო რაიმე ახალი საქმის დაწყება, მით უმეტეს ასეთი ტიპის სკოლის გახსნა, მაგრამ მიუხედავათ მრავალგვარ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, მუშა-ქალთა ორგანიზაციამ მაინც შესძლო ამ საქმის გაკეთება. ამ სკოლაში მოქსოვილი მატერიები თავის ღირსებით არ ჩამოუვარდება ქარხნებში დამზადებულთ და ფასიც ხელმისაწდომი არის. რომ ეს სკოლა უფრო კარგს პირობებში ჩააყენოს ხსენებულმა ორგანიზაციამ, ამისათვის საჭიროა მას შესაფერი დახმარება გაუწიოს როგორც ქალაქის თვითმართველობამ, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებმაც. ამ რამოდენიმე დღის წინათ მოხდა ხსენებულ ორგანიზაციას წევრთა საზოგადო კრება. ახალ გამგეობაში აირჩა ბევრი ახალი ძალები, რომლებიც, ჩვენის ფიქრით, მთელ თავის ენერგიას არ დაიშურებენ საზოგადო საქმისათვის. იმედია ამხანაგი მუშა-ქალები, რომლებიც ჯერ კიდევ რეაქციის დროს არალეგალურათ ასე თავდადებული მუშაობდენ, ეხლა უფრო გააცხოველებენ ამ მუშაობას და მათ კულტურულ საქმიანობაში თუ რამე დეფექტებია, მთლათ გამოასწორებენ. ვუსურვებთ განახლებულ გამგეობას გაემართლებიოს ჩვენი იმედები.

ი. სადემეტროველი.

## პროვინცია

**ფოთი.** ქალაქის საბჭოში შემოვიდა საზ. „ოქროს ვერძი“-ს წინადადება, რომ ქალაქმა დახმარება აღმოუჩინოს მას გემებით, საწყობებით, ადგილობრივათ ხელსაყრელ პირობებში საქონლის შეძენაში და ამის მაგიერ ის პირდებოდა სხვადასხვა სანოვაგის გამოტანას რუსეთიდან და მისი ხელმისაწდომ ფასებში ქალაქისთვის დათმობას. ეს განცხადება საბჭომ გადასცა იურიდიულ კომისიას. სანამ ეს ირჩეოდა, შემოვიდა ლევ. ზოდელავას წინადადება, რომლითაც ის ითხოვდა მისთვის 6 თვის ვადით გემის იჯარით მიცემას, რომ გამოეტანოს სიმინდი და სხვა სანოვაგე რუსეთიდან და უკრაინიდან. ამის გამო ნავთსადგურის უფროსის თანადასწრებით შემდგარ თათბირზე გადაწყდა გაცემულიყო გემი იჯარით, მაგრამ ამ დროს მოვიდა მთავრობისაგან დეპეშა—გემი იჯარით არ გასცეთო.

შეცვლილ პირობებისდა მიხედვით ახალ თათბირზე გადაწყდა, რომ თითო ფუთის გადატანა-გადმოტანაში აიღონ 5 მანეთი.

ქალაქის საბჭომ დართო ღვინის გაყიდვის ნება მხოლოდ დაბეჭდილ ბოთლებში 1 ივლისიდან.

შესდგა ქალაქის თვითმართველობასთან სამილიციო კომისია, რომელიც შესდგება 5 კაცისაგან. კომისიაში არჩეულ არიან: ნ. მახარაძე, ნ. ზამბახიძე, დ. ბოკუჩავა, ექ. კ. მიქაბერიძე და ვლ. ჯაფარიძე.

17 ივლისს გავიდა ფოთიდან უკრაინის ნავთსადგურებში დიდი სამგზავრო გერმანიის გემი „გენერალი“. ამ გემზე მიემგზავრება საქართველოს წარმომადგენელი უკრაინაში ზ. თევზაია, მისი თანაშემწე და საქართველოს სხვა წარმომადგენლები რუსეთში.

ქალაქის გამგეობის წევრმა ამხ. გრ. ხოფერიამ დაღლილობის გამო თავი მიანება სამსახურს. მისი ადგილი დაიკავა ამხ. პეტრე ქუთათელაძემ.

ყოფილ მილიციის უფროსი გ. ჩაჩუას მაგიერ მოწვეულია პორ. პ. კილურაძე.

შ.

---

**ხიდისთავი** (გურია). სოფ. ხიდისთავი კარგა მოზრდილი რაიონია. აქ არსებობს ყოველგვარი კულტურული და ეკონომიური ორგანიზაციები; მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო კოოპერატივ „თანხმობაზე“. კოოპერატივი აქ კარგა ხანია არსებობს. პირველ ხანებში საქმეც კარგად მიდიოდა. მაგრამ შემდეგ პირობების შეცვლის მიხედვით, ბაზარზე საქონელი სრულიად გამოილია, მიიხურა კერძო სავაჭროები და მთელი ხალხის გამოკვების საქმე დაევალა სასურსათო კომიტეტს და კოოპერატივს. ცხადი იყო მათ დიდი თანაგრძნობა უნდა დაემსახურებია და დიდი დახმარებაც სჭირდებოდათ თვით მომხმარებლებიდან. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ზოგიერთი წევრები ყოვლად უსაფუძლო და უშინაარსო საშვალებით ებრძვიან კოოპერატივს, რაც საქმეს მხოლოდ ვნებს.

გამგეობამ და ნოქარმაც კოოპერატივის საქმე ცუდათ წაიყვანეს. სრულიად ვერ გაამართლეს ხალხის იმედები. ოთხი თვის განმავლობაში, მარტო ერთი კრება მოუხდენიათ, ფუნქციები გაუნაწილებიათ და ყველაფერი ამით გათავებულა. ერთი გამგეობის წევრი წასულია ჩოხატაურის სარაიონო კავშირის დავალებით საქონლის შესაძენად, ვითომ და პირდაპირ ამავე კოოპერატივის საქონლის მოსატანად. ჯამაგირს თურმე ორივე ალაგას ღებულობს; გადის თვეები და არც საქონელი სჩანს და არც კაცი. გამგეობა ფაქტიურათ აღარ არსებობდა, ოთხი თვის ჯამაგირი კი აუღია. თავმჯდომარეს სრულიათ ვერ გამოუჩენია მუშაობის უნარი. საუბედუროთ ვერც ნოქარს შეუგნია თავისი მოვალეობა, რომ გამგეობის უმოქმედობის გამოსასწორებლად შესაფერი ნაბიჯები გადაედგა. ჩვენმა კოლექტივმა ყურადღება მიაქცია კოოპერატივის დაქვეითებას და არა ერთხელ შეეკითხა, მაგრამ გამგეობისაგან ყოველთვის ერთი და იგივე პასუხი იყო: „საქმე ჩვეულებრივად არისო“, წინადადება მისცა დაუყონებლივ მოეწვიათ ის ერთი წევრი, რომელიც კავშირს ჰყავდა გაგზავნილი, და საზოგადო კრება, მაგრამ არც ერთი იქნა მოწვეული და არც მეორე. ბოლოს აღმოჩნდა დანაკლისი 7000 მან. ამ ციფრებიდან 3300 მან. სასამართლოს გამოძიებით დაედვა გამგეობის ერთ წევრს. ს. დ. კოლექტივმა მიიღო შესაფერი ზომები საქმის გამოსასწორებლად, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მუსტაფე.

## წერილი რედ. მიმართ

გასული კვირის „ერთობის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო საქარელის წერილი, რკ. გზის მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, დაახლოვებით ასე: „როგორც სჩანს, 90 პროცენტი მოსამსახურეებისა სულ ბნელი და არა-საიმედო პირები იყვნენო, ძველი მთავრობის შემწეობით მიღებულებიო დაითხოვეს ბევრი, სულ არა-საიმედო პირები, დატოვეს კიდევ ბევრი არა-საიმედო პირები მხოლოდ იმიტომ, რომ საიმედო პირთა საკმაო რიცხვი არ იყოო“ და სხვ. ეს აზრი საქარელისა, სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. მართალია, მოსამსახურეთა შორის ბევრი არა-საიმედო პირები იყვნენ მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, როგორც საქარელს ჰგონია, რომ საიმედო და პატიოსნებით სავსე პირებიც—არა-საიმედო პირთა სიას უნდა მივაწეროთ. მოძრაობა თითქმის შეჩერებულია, უსაქმურობა, ფულის უქონლობა და დიდი ხარჯები აი მიზეზი შტატის შემოკლებისა. დაითხოვეს ბევრი არა-საიმედო, ბევრიც საიმედო ზევით მოყვანილ მიზეზის გამო, რაც აუცილებელი იყო. დასამტკიცებლად იმისა, რომ ბ-ნი საქარელი სცდება, მიბრძანდეს და ჰკითხოს რკ. გზის მთავარ კომიტეტს: არის თუ არა საკმაო რიცხვი საიმედო პირთა, დათხოვნილ მოსამსახურეებში არა საიმედო პირთა გარდა?

რკინის გზის მოსამსახურე
ალ. მაისურაძე

## ცნობები

ბესარიონ ირაკლის ძე მხალაძე მსახურებდა მე-4 ქართულ პოლკში ჭოროხის მხარეზე და სხვებთან ერთათ დაიკარგა უგზო უკვალოთ. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გთხოვთ დედამის შეატყობინოთ ქ. ოზურგეთში ელისე ანთელიძის სახელზე, გადასაცემათ ბაბილინე მხალაძეს.

---

ჯარისკაცი იოსებ (სერგო) ივანეს ძე ელიაძე მსახურობდა პირველ ქართულ პოლკში მეშვიდე როტაში. ივნისის რიცხვებში მონაწილეობას იღებდა მცხეთაში ბალშევიკების წინააღმდეგ. მისი ამხანაგების გადმოცემით, ის დაჭრილა ფეხში და დარჩენილა ბრძოლის ველზე. მას შემდეგ არაფერი ვიცი, თუ რა ბედი ეწვია მას, მხოლოდ უკანასკნელი შტაბის ცნობით გავიგე, რომ ელიაძე დაჭრილია. სად ან რომელ ლაზარეთში იმყოფება, არ იციან. ვთხოვ, თუ ვინმემ იცოდეს მის შესახებ რაიმე, გვაცნობოს შემდეგი ადრესით: ქ. თფილისი, ნაძალადევი, აფანასიევის ქუჩა, № 1, გიორგი თონთუას.

---

ჯარისკაცი გიორგი საჩინოს ძე ჩაჩავა მსახურობდა პირველ ქართულ პოლკში მეშვიდე როტაში. ივნისის რიცხვებში მონაწილეობას იღებდა მცხეთაში ბალშევიკების წინააღმდეგ. მას შემდეგ, თუ რა ბედი ეწვია მას, არაფერი ვიცი. გთხოვთ, თუ ვინმემ რაიმე იცით, მაცნობოთ შემდეგი ადრესით: ქ. თფილისი, ნაძალადევი, აფანასიევის ქუჩა, № 1, გიორგი თონთუას.

---

უმორჩილესად გთხოვთ დამიბრუნოთ სად. რიონში 13 ამ თვეს დაკარგული ბუმაჟნიკი ქაღალდებით, რისთვისაც მომტანი დასაჩუქრებული იქნება. ზოგ ყოფილ საბუთის ქაღალდებს ძალა დაკარგულად ვაცხადებ. ადრესი: თფილისი, აჰდრეევის ქუჩა № 79. რომანოვსკი. (1—1)

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის** შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. **უფასოთ** იღებს ყოველ-დღე დილ. 7—8 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**კერძო მიხეილის საავადმყოფო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე [illegible] საათამდე.
მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 17—49.

**ექიმი ლ. ი. ცაგარელი.**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—82.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. კლდიაშვილი.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4. კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

**ექ. ქალი რ. ზ. შიშლო-საგაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დამისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა,** ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

**გაიხსნა თვალის სამკურნალო**
(მუდმივი საწოლებით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისენტის
**ექიმ დონხინისა.**
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

## ტრამვაი

თფილისის ტრამვაის დირექცია. ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 22 ივლისიდან ტრამვაის მოძრაობა დაიწყება დილის 7 საათ. 30 წ. (ახალი დროით) უკანასკნელი ვაგონები კი ქალაქის გარე პუნქტებიდან გავა საღამოს 10 საათზე. (1—1)

**ერიდეთ ხოლერას სვით ბორჯომის წყალი**

ვისაც თავი და თავის ოჯახი უყვარს უნდა ერიდოს უბრილო და სხვადასხვა ხილეულობის წყლის (ლიმონათის და კვასის) სმას, ვინაიდან უმრავლესობა ამ წყლებისა გადაუდუღებელი წყლისაგან მზადდება, და ყველა ეს წყლები ავრცელებენ ხოლერისა და ტიფის „ვიბრიონებს“ (ბაცილებს).

რომ აირიდოთ ტიფი და ხოლერა მოითხოვეთ ყველა გასართობებში და საკანდიტეროებში, აგრეთვე [illegible] ოჯახში უბრალო მავნებელი წყლის მაგიერ „ბორჯომის წყალი“.

**მთავარი საწყობი იმყოფება ბორჯომში.** (10—2)

დღეს, 21 ივლისს საღამოს 7 საათ. მუშათა კლუბში მიხეილის პროსპ. № 65, 6-სე რაიონის ქალთა წრე, ს. დ. მ. პ. მართავს

**ლექცია-სეირნობა-კონცერტს**

მე 6სე რაიონის მუშათა კლუბის საბავშვო ბაღში მოსწავლე ბავშვების სასარგებლოთ. ბაღში: ლატარეა ალეგრა, აუქციონი, ყვავილები, ბუფეტი, ფოსტა, კინემატოგრაფი და ცეკვა. (1—1)

**კავკავის ქართული სკოლისათვის**

**საჭიროა სამი მასწავლებელი.** მასწავლებელს წლიური ჯამაგირი ექნება 3600 მანეთი.

მსურველთ თხოვნა საჭირო დოკუმენტებით უნდა წარუდგინონ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას, ან კავკავის განყოფილების გამგეობას, კავკავი, ქართული სკოლა, გამგეობას. (3—1)

**სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.**

---

*) ამხ. ზენია ჩხიკვიშვილმა შემდეგი ცნობები გადმოგვცა ამ თედორე შუშიაშვილის შესახებ: „თედორე შუშიაშვილი ხელობით ფოტოგრაფია, სოფ. ბაზალეთის მცხოვრები. 4 წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი შანტაჟისა და დაცემისთვის სიხარულოვის გვარით: კატორღა ნიკოლაევის ციხეში გაათავა, სადაც თავს ანარქისტს უწოდებდა კატორღის გათავების შემდეგ სამუდამოთ გადასახლებული იყო ციმბირში, საიდანაც დაბრუნდა 1917 წლის აპრილში. ციმბირიდან დაბრუნებისას რწმენით ის უკვე ნაციონალ-დემოკრატი იყო. ჩემთან ერთად იყო კატორღაში და გადასახლებაში და მე რომ დავბრუნდი, მაშინ დაბრუნდა ისიც ციმბირიდან“.

რედ.

მსწრაფლ-მბეჭდავისტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.